F567~3288

იდიდე მარად, ჩემო სამშობლოვ!

საბჭოთა ხევი

უცხოეთში მცხოვრებ თანამემამულეებთან კულტურული კავშირის საქართველოს საზოგადოების გამოცემა

გამოცემის მე-11 წელი

№ 22-23 (160)

დეკემბერი,

1966 წელი



სამშობლო ჩვენი გულისფიცქვაა

მალე სამი წელი შესრულდება მას შემდეგ, რაც თბილისში დაარსდა უცხოეთში მცხოვრებ თანამემამულეებთან კულტურული კავშირის საქართველოს საზოგადოება, რომელიც მიზნად ისახავს სამშობლოსაგან მოწყვეტილი თანამემამულეებისათვის ქართული ლიტერატურის, მუსიკისა და სიმღერის ჩანაწერების მიწოდებას, რადიოსა და გაზეთის საშუალებით ჩვენი ყოველდღიური ცხოვრების გაცნობას, თანამემამულეთა ერთი ნაწილის გარკვეული ხნით საქართველოში სტუმრად მოწვევას; ერთი სიტყვით, სულიერი საზრდოს მიწოდებას გარეჯართველთათვის მათი მოთხოვნილებების გათვალისწინებით, რასაც საჭიროებლად უღებს დიდა-სამშობლოსთან მათი კავშირის კიდევ უფრო გაფართოება და გაღრმავება.

სიამოვნებით უნდა აღვნიშნოთ, რომ ჩვენი კავშირი უცხოეთში მცხოვრებ თანამემამულეებთან წლიურს მნიშვნელოვნად გაფართოვდა და განმტკიცდა. საზღვარგარეთის ბევრ ქვეყანაში შეიქმნა და ნაყოფიერად მუშაობენ თანამემამულეთა მიერ დაარსებული ბიბლიოთეკები, ქართული კულტურის კერები, რომლებსაც ჩვენი საზოგადოება სისტემატურად უგზავნის კლასიკურ და თანამედროვე ქართული ლიტერატურის საუკეთესო ნიმუშებს, ჟურნალ-გაზეთებს, გრამფირფიტებს, ფოტოგრამოფენებს, რაც საქმაოდ ნათელ წარმოდგენას უქმნის ყველა დაინტერესებულ პირს ჩვენს სამშობლოზე, მის აწმყოსა და მომავალზე.

თუ რამდენად კეთილისმყოფელ გაწყობილებას ქმნის ასეთი კულტურული კონტაქტები, ამაზე ნათლად მეტყველებს თანამემამულეთაგან უცხოეთიდან მიღებული წერილები, კეთილი სურვილები და პირადი შეხვედრები, ზოგჯერ კრიტიკული შენიშვნებიც, რაც ხელს გვიწყობს მუშაობის გაუმჯობესებაში. სწორედ ამის შედეგია ის, რომ უკანასკნელ ხანებში საგრძნობლად გაიზარდა გაზეთ „სამშობლოს ხმის“ პერიოდულობა და ტირაჟი, უფრო საინტერესო და მრავალფეროვანი გახდა გამოქვეყნებული მასალები.

ფრანგი თანამემამულე **მიშელ დგებუაძე** გვწერს: **„დიდ მადლობას მოგახსენებთ იმისათვის, რომ თქვენი გაზეთის საშუალებით მამაჩემმა მუდამ იცოდა, თუ რა ხდებოდა მის სამშობლოში, რაც ყველაზე დიდ სიამოვნებას ანიჭებდა ცხოვრებაში“.**

უკანასკნელი წლების განმავლობაში საზოგადოებამ ასობით ცალი „დიდა-ენა“ და ქართული ენის სხვა სახელმძღვანელო გაუგზავნა საზღვარგარეთ მცხოვრებ თანამემამულეებს მათივე მოთხოვნით. მაგრამ, როგორც მიღებული წერილებიდან ჩანს, ჩვენ ჯერ კიდევ სრულად ვერ დაკმაყოფილებთ მოთხოვნილებას. აქ მხედველობაში მისაღებია ის გარემოებაც, რომ უცხოეთში დაბადებულ თანამემამულეებს, რომლებმაც ქართული არ იციან, შედარებით უფრო მეტად უჭირთ მშობლიური ენის ათვისება ამჟამად რესპუბლიკაში გამოცემული დიდა-ენისა“ და სხვა სახელმძღვანელოების მიხედვით. საზოგადოებამ ეს გარემოებაც გაითვალისწინა და გადაწყვიტა მომავალი წლისათვის გამოსცეს ქართული ენის სპეციალური სახელმძღვანელო სამ წიგნად, რომლითაც ახალგაზრდა თანამემამულენი არა მარტო ქართულ წერა-კითხვას დაეუფლებიან, არამედ ავრეთვე გაეცნობიან საქართველოს ისტორიას, კულტურის, ლიტერატურისა და ხელოვნების საკითხებს.

მეორე მსოფლიო ომმა ბევრი ჩვენი თანამემამულე მოსწყვიტა ოჯახს, მახლობლებს, სამშობლოს. საზოგადოება სისტემატურად აწარმოებს სამამულო ომის დროს უგზოუკვლოდ დაკარგულ თანამემამულეთა ძებნას გაზეთ „სამშობლოს ხმის“ საშუალებით, ავრეთვე ეხმარება უცხოეთში მცხოვრებ ქართველებს სამშობლოში მყოფ ნათესავებთან კავშირის დამყარებაში. აი რას გვწერს საფრანგეთიდან ჩვენი თანამემამულე **ალექსანდრე ჯინჯარაძე: „ამ რამდენიმე წლის წინათ თქვენი წყალობით გავიგე კავშირი ჩემს უბედურ დედასთან და ჩემს და ნინოსთან. მას შემდეგ ხშირად ვიღებ ბარათებს და ერთხელ ამანათიც მივიღე ოჯახიდან, ჯანჯუხებითა და დედის მიერ გაკეთებული მურაბებით სავსე, რისთვისაც დიდ მადლობას მოგახსენებთ“.**

უცხოეთში მცხოვრებ თანამემამულეებთან წერილობითი კავშირის გაფართოებამ, მათთან პირადმა შეხვედრებმა მეტად საინტერესო გახადა რადიოგადაცემათა შინაარსი. შემოღებულ იქნა ახალი ციკლი — „კავშირის ახალი ამბები სამშობლოდან“, სადაც სისტემატურად შეიქმება რესპუბლიკის ცხოვრებაში მომხდარი მნიშვნელოვანი ამბები, რადიოს საშუალებით გარეჯართველებს ესაუბრებიან ჩვენს საზოგადოების აქტივისტები, რესპუბლიკის გამოჩენილი ადამიანები, მუშები, გლეხები, მეცნიერების, ლიტერატურისა და ხელოვნების მუშაკები, სამშობლოში დაბრუნებული ან სტუმრად ჩამოსული თანამემამულენი, მათი გულახდილი საუბარი სულ უფრო მეტ რადიომსმენელს იზიდავს.

საზოგადოება ხშირად აწყობს რადიოს საშუალებით ქართული მუსიკის კონცერტებს, რაც დიდი პოპულარობით სარგებლობს მსმენელებში. მეტი ქართული მუსიკა, მეტი ქართული სიმღერები — ასეთია ჩვენი თანამემამულეების თხოვნა, და შეძლებისდაგვარად ჩვენც ვასრულებთ ამას. განსაკუთრებით დიდი როლი შეასრულა ჩვენმა რადიომ უცხოეთში გარდაცვლილი ნიჭიერი ქართველი კომპოზიტორის ერეკლე ჯაბადარის მუსიკის პროპაგანდაში. ამჟამად ჯაბადარის უაღრესად ეროვნულ მუსიკას კარგად იცნობენ საქართველოში.


რაც დრო გადის, ჩვენი საზოგადოების კეთილშობილური საქმიანობა სულ უფრო ცხოველ გამოხმაურებასა და მოწონებას იწვევს უცხოელ ქართველთა შორის. საფრანგეთში მცხოვრები თანამემამულე **ვალიკო ჯღენტი** გვწერს: **„უცხოეთში დაბადებული ქართველი ახალგაზრდობა, განსაკუთრებით მოსწავლენი დიდად არიან დაინტერესებულნი იმით, რომ ნახონ, გაიცნონ და შეისწავლონ ჩვენი სამშობლო, რათა მათაც ატარონ გულით მისი სიყვარული. თქვენი საზოგადოება ამ მხრივ დიდ დახმარებას უწევს ჩვენს ახალგაზრდობას. ამ მუშაობის ნაყოფი დიდი იქნება“.**

საზოგადოება თანამემამულეთა ამ თხოვნასაც ითვალისწინებს და ყოველწლიურად სულ უფრო მეტი რაოდენობით პატრონობს ახალგაზრდობას სტუმრად საქართველოში. ტრადიციად არც მომავალში დაირღვევა: სტუმრობა, ყველაფრის საკუთარი თვალით ხილვა საუკეთესო საშუალებაა ერთმანეთის ახლოს გაცნობისა, სამშობლოსთან კიდევ უფრო მეტად დაახლოებისა.

აი რას გვწერს საფრანგეთიდან ახალგაზრდა თანამემამულე **ნოელ გუნია: „არასოდეს დამავიწყდება ის გულთბილი შეხვედრა, რომლითაც თქვენ მიმიღეთ საქართველოში ჩემი ტურისტად ყოფნის დროს. ახლა მამაჩემი თვითონ ფიქრობს სამშობლოში სტუმრად ჩამოსვლას და ყველაფერს აკეთებს ამ მიზნის განხორციელებისათვის.**

სასიხარულოა, რომ თანამემამულეთა სტუმრობა სამშობლოში უკანასკნელ წლებში საგრძნობლად გახშირდა. მიმდინარე წელს მარტო საფრანგეთიდან ჩვენი საზოგადოების მიერ საქართველოში სტუმრად მოწვეული იყვნენ **ორესტი გორდელაძე** და **ოთარ კრავეიშვილი** მეუღლეებითურთ, დაძმა **რუხაძეები, ჯიმშერ წულაძე,** რომლებმაც დიდი ინტერესით დაათვალიერეს საქართველოს სოფლები და ქალაქები, მოინახულეს თავიანთი ნა-

მხატვრის ალბომიდან



თბილისი, მეტროს სადგური „ვაგზლის მოედანთან“.

თესავ-მგმობრები, გაეცნენ ჩვენს დღევანდელ ყოფაცხოვრებას და მდიდარი შთაბეჭდილებებით დაბრუნდნენ უცხოეთში.

მიმდინარე წელს ჩვენი საზოგადოება მარტოოდენ თანამემამულეებს როდი მასპინძლობდა. მან არ დაივიწყა ის კეთილშობილი ადამიანები, რომლებმაც მეორე მსოფლიო ომის დროს ძმური დახმარების ხელი გაუწოდეს გაჭირვებაში ჩავარდნილ ქართველებს, შიმშილისა და დამცირებისაგან იხსნეს, ბევრი მათგანი კი უპატიმრობის სიკვდილს გადაარჩინეს. სწორედ გულწრფელი სამადლობელის გადახდის სურვილით იყო ნაკარნახევი ყოფილ ფრანგ პარტიზანთა დელეგაციისა და შესანიშნავი ჰოლანდიელი ქალის კორნელია ბოონ-ფერბერგის საქართველოში მოპატიჟება, რაც ჩვენი საზოგადოების უშუალო მონაწილეობით განხორციელდა. ასეთი ვიზიტები ხელს უწყობს ხალხთა შორის მშვიდობისა და მეგობრობის განმტკიცებას, რასაც გულწრფელად ესწრაფვის საბჭოთა ხალხი. აი რას გვწერს ფრანგ პარტიზანთა დელეგაციის მეთაური, ყოფილი პოლკოვნიკი **გოდეფრუა ლუი მარსელი: „საქართველოში მიღებულ დაუვიწყარ შთაბეჭდილებებსა და მოგონებებს იმისათვის გამოვიყენებთ, რომ უკეთ გავაცნოთ ჩვენს ხალხს საბჭოთა კავშირის თვალ-მარგალიტი, რასაც უდავოდ წარმოადგენს საქართველოს რესპუბლიკა“.**

დელეგაციის ერთ-ერთი წევრი **მარიუს დიკუი** თავის წერილში გვაცნობებს: **„ბორდოში ვესაუბრე ზოგიერთ ჩემს ნაცნობ ყოფილ ქართველ პარტიზანს. მოვუყევი თქვენს გულთბილ შეხვედრაზე, საქართველოს სილამაზესა და სიმდიდრეზე. მე შევნიშნე სიამაყის ცრემლებით სველი მათი თვალები“.**

ამ სიტყვებიდან მხოლოდ ის დასკვნა შეიძლება გამოვიტანოთ, რომ ყოველი პატიოსანი მამულიშვილის გულში, სადაც უნდა იმყოფებოდეს იგი, ჩაუქრობლად ღვივის თავისი ხალხისა და სამშობლოს უსაზღვრო სიყვარულის გრძნობა, და საკმარისია მხოლოდ საბაბი, ხშირად სრულიად უბრალო შემთხვევაც კი, რომ მან ნამდვილ საქმეში იჩინოს თავი. მოყვასისა და სამშობლოსადმი სიყვარულის ამ უწმიდესმა გრძნობამ გადაარჩინა ჩვენი ერი უამრავ განსაცდელს და იმავე გრძნობას მიჰყავს იგი უკეთესი მომავლისაკენ.

საყვედური როდი გვეთქმის ჩვენს ახალგაზრდა თანამემამულეებზე, უცხოეთში დაბადებულ ქართველებზე. დარწმუნებული ვართ, რომ მათ სულით და გულით უყვართ მამა-პაპათა სამშობლო, — აურაცხელი ლეგენდების, მზისა და ვარდების მხარე, მაგრამ ბევრ მათგანს ჯერ კიდევ არა აქვს საშუალება შეისწავლოს ქართული ენა, დედა-ენაზე წაიკითხოს ქართული ლიტერატურის ბრწყინვალე ნიმუშები, საკუთარი თვალით იხილოს გელათი და იყალთო, ჯვარი და სვეტიცხოველი, გაეცნოს თანამედროვე ქართულ ხელოვნებასა და კულტურას, ჩვენს დღევანდელ ყოფას. ამაზე ჩვენან მათი მამები, ამაზე ტირიან უცხოეთში გადახვეწილი ქართველი დედები. ჩვენმა საზოგადოებამ გადაწყვიტა დააარსოს ზოგიერთი თანამემამულის სურვილი და მომავალ წლისათვის საქართველოში სასწავლებლად მოიწვიოს მათი შვილები, რომლებიც აქ მთლიანად სახელმწიფოს ხარჯზე იქნებიან. ამით ჩვენს ახალგაზრდა თანამემამულეებს საშუალებას მივცემთ სრულყოფილად დაეუფლონ ქართულ მეცნიერებასა და ხელოვნებას, რასაც ისინი უცხოეთში დაბრუნებას შემდეგ კიდევ უფრო ფართოდ გააცნობენ მსოფლიოს სხვადასხვა ხალხებს.

ეს წერილი მინდა დავამთავრო ამერიკის შეერთებულ შტატებში მცხოვრები თანამემამულის **დიმიტრი მახარაშვილის** სიტყვებით, რომლითაც მან ჩვენს საზოგადოებას მიმართა: **„ჩემთვის დაუფასებელია, თუნდაც, მარტო თქვენი გამოხმაურება, რამაც სიცოცხლის მადა მომცა, მოვმჯობინდი და თავს აწ კარგად ვგრძნობ. სამშობლომ გამაცოცხლა, გამახარა, იმედებით დამტვირთა და აწ კიდევ ვლი ბედნიერებას. ასეთი დიდი ბედნიერება მოუტანა მსოფლიოში გაფანტულ ქართველებს სამშობლოს გამოხმაურებამ. ეს არ არის პატარა ამბავი. ეს დიდი ისტორიული საქმეა, რომელიც წმიდანობით აღაღადდა მთელ მსოფლიოში და სიცოცხლე გაუგრძელა სამშობლოს მოწყვეტილ ადამიანებს, მომავლის საბედნიეროდ სიხარულითა და იმედით დატვირთა“.**

გ. კავთიაშვილი,

უცხოეთში მცხოვრებ თანამემამულეებთან კულტურული კავშირის საქართველოს საზოგადოების პასუხისმგებელი მდივანი.



ასი წლისანი. ფოტოეტიუდი ლ. რიონელისა.

ვაშლოვანის ნაკრძალში

წითელწყარო. ცხრა წლის წინათ შეიქმნა ვაშლოვანის სახელმწიფო ნაკრძალი, რომელსაც 5.952 ჰექტარი უკავია. აქ გავრცელებულია სალსალა, — ტანდაბალი ხე, რომლის დიამეტრი 70 სანტიმეტრს იშვიათად აღემატება. მისი მერქანი ყავისფერია, მეტად მკვრივი და მძიმე. ამიტომ მას ხმარობენ საფეიქრო მრეწველობაში მაქოებისათვის, აგრეთვე გემთმშენებლობაში. ამასთან ხე ფისების შემცველია და მისი ქერქის დაზიანებისას ფისები ადვილად იყონება გარეთ. ამ ფისებიდან იღებენ ძვირფას ლაქს. ძვირფასი ხეა აგრეთვე ღვია, განსაკუთრებით შავი ღვია, რომლის მერქანი მეტად გამძლეა.

ნაკრძალში 500-ზე მეტი სახეობის ხე-მცენარე იზრდება. გარდა ამისა, ნაკრძალი იცავს სასარგებლო ფაუნას. ვაშლოვანის ნაკრძალი ბევრ ექსკურსანტს იზიდავს. აქ მოდიან არა მარტო მოძმე რესპუბლიკებიდან, არამედ უცხოეთიდანაც.

საქართველოდან სამოცდაათ ქვეყანაში

ქართველი კაცის მარჯვენამ შეძლო მიწისათვის გამოეტაცნა დამარხული საუნჯე, ამგო ფაბრიკა-ქარხნები, ცივი ლითონისათვის სული ჩაედგა და სახარატო ჩარხების, სარანდავი დაზგების, ელექტრომძრავების, ელმავლებისა თუ სხვათა სახით აემოძრავებინა. ამის შედეგია, დღეს ასე ძლიერ რომ იზარდა და გაშენდა საქართველო. მისი სახელი კარგახანია გასცდა შავსა და კასპიის ზღვებს და დიდ ოკეანეთა გაღმაც გააწვდინა ხმა. საქართველო აღარ არის მარტოოდენ ამიერკავკასიაში. იგია მსოფლიოს ყველა კუთხეში, ქალაქსა და სოფელში, იქ, სადაც ჩარხებსა თუ დაზგებს, მძიმე თუ მსუბუქი მრეწველობის ნაწარმსა თუ მანქანა-იარაღებს აწერია მისი სახელი. საქართველოს ნაწარმს კი მსოფლიოს სამოცდაოთხ ქვეყანაში შეიძლება შეხვდეს კაცი. მას ნახავთ ავსტრიასა თუ ალჟირში, კუბასა თუ მექსიკაში, შორეულ ავსტრალიასა თუ ამერიკის შეერთებულ შტატებში. ქართული პროდუქცია ყველგან და ყოველთვის მოწონებით სარგებლობს. ამიტომ არის, რომ ლაიპციგის, ბუდაპეშტის, უტრეხტის, დამასკოს, პლოვდივის საერთაშორისო ბაზრებზე საქართველოს ნაწარმიც იყო გამოფენილი. რამდენად საამაყოა, რომ ქართულ მიწაზე დამზადებული წამლებით კურნავენ ათასობით ადამიანს, მის ქარხნებში აგებული მანქანა-იარაღებით ამზადებენ პროდუქციას, რომელიც ხალხთა კეთილდღეობასა და მშვიდობის საქმეს ხმარდება.

ახალი წელი ერთ-ერთი ყველაზე სასიხარულო დღეა ადამიანისათვის. ვინ მოთვლის, რამდენი უცხოელის სუფრას დაამშვენებს ამ დღეს ქართულ მიწაზე მოყვანილი ხილისაგან დამზადებული ტკბილეული. სასიამოვნოა იმის გაფიქრება, რომ შეიძლება სწორედ ქართული ღვინით, კონიაკით ან შამპანურით სავსე პირველი ჭიქით შესვამენ ავსტრალიელი, პოლონელი, გერმანელი, იუგოსლავიელი, ბელგიელი მშრომელები ახალი წლის, ბედნიერებისა და მშვიდობის სადღეგრძელოს.

ჩვენი პლანეტის ორი მესამედი წყალია, ერთი მესამედი — მიწა. ორ მესამედზე დინჯად ჰკვეთენ ტალღებს ვეებერთელა გემები, ერთ მესამედზე კი მიჰქრიან მძიმეწონიანი მატარებლები და მანქანები. ისწრაფვიან სხვადასხვა ქვეყნებისაკენ. მიდიან და თან მიაქვთ ქართველი კაცის მარჯვენით დამზადებული ნაწარმი, რომელსაც კეთილი სურვილებიც მიჰყვება თან საქართველოს მიწიდან.

შთამომავლობა არ დაივიწყებს

მოსკოვში კრემლის კედელთან დაკრძალეს უცნობი ჯარისკაცის ნეშტი



სურათზე: მოსკოვი, წითელი მოედანი, უცნობი ჯარისკაცის საფლავთან.

იქნებ ძმა იყავ!

ჩანაფიქრი

ფლეგის განმავლობაში არ მტოვებდა ფიქრი. ფიქრს დიდი სურვილიც ახლდა — ორიოდე სიტყვა ძეთქვა ეი შესახეი. მერე რა, რომ მე არ ვიცი შენი სახელი და გვარი, არც სადაურობა. ამას აიცა აქვს რაიმე მნიშვნელობა. სულ ერთია, ქართველი იყავი თუ აზერბაიჯანელი, რუსი თუ უკრაინელი, ვიცი, რომ იბრძოდი სამშობლოს თავისუფლებისთვის. დაიღუპე და არავითარი ძეგლი არ ამშვენებს შენს საფლავს. უბრალო, პატარა წარწერა მიუნიშნებს აქ გავლელს, რომ ეს საფლავი უცნობ ჯარისკაცს ეკუთვნის. და რომელი ხატოვანი წარწერა დაგამშვენებდა ამაზე უკეთ. იქნებ ნაცობიცა ხარ, იქნებ ნათესავიც, უგზოუკვლოდ დაკარგული. იქნებ ძმა ხარ ჩემი, ჩემი სისხლი და ხორცი, იქნებ სატრფო ხარ აი იმ ტახძაღალი ქალისა, შენს ლოდინში რომ გასცრეცია ღაწვები. იქნებ შვილი ხარ იმ შაისანი დედაკაცისა, ოთარაანთ ქვრივს რომ ეძახიან ჩვენს უბანში. იქნებ სულ არა ხარ ნაცნობი, არც შენს ქალაქში ვყოფილვარ იქნებ. ვინ იცის, სახლში ფეხმძიმე ცოლი დატოვე. შენი სახელი დავარქვი ბიჭსო — იქნებ უკანასკნელი სიხარული მოგიტანა შორეულ კარპატებში სულზე უტკბესის წერილმა.

მე არ ვიცი შენი სახელი. იქნებ გიგი გერქვა. იქნებ გიორგი (შინაურობაში გიოს დაგიძახებდნენ უთუოდ). იქნებ მეოცე გაზაფხულს ელოდებოდი ღიმილის ბიჭი, იქნებ ნახევარ საუკუნეს გადააბიჯე. სულ ერთია, ვიცი იქნებოდი კაცი კაცური. ვიცი გეყოლებოდა დედა. იქნებ ახლაც ცოცხალია იგი, სევგამწარებული და სიცოცხლემოძულებული. იქნებ დედაა ჩემი, შენზე დარდმა რომ შეაძულა თავისივე თვალები, რადგან ცას ეჯიბრებოდა სილურჯეში მისი ფერი... შენ კი წევხარ შორეულ კარპატებში და უბრალო წარწერა „უცნობი ჯარისკაცის საფლავი“ ყოველ ცხრა მაისს იფარება ყვავილებით. ყვავილები მოაქვთ ახალგაზრდებსაც და ხანდაზმულებსაც.

მე ვნახე შენი საფლავი ამ რამდენიმე ხნის წინათ. ვნახე ის ჩაძაძული ქალიც, დილადრიან რომ მოვიდა შენთან და მაისის ვარდებით შეამკო შენი საფლავი, წვიდათა-წვიდა და თაყვანსაცემი. იქნებ ის არის შენი დედა, აკი მასაც სამამული ომში დაეკარგა თავისი ერთა. ან იმ პატარა გოგო-ბიჭებში. მთელი დღე რომ მინდვრის ყვავილებს გაყრიდნენ გულზე, იქნებ რომელიმეშე შენი ხასიათი გამოჰყვა, შენი შუბლი და შენი ღიმილი. ან იქნებ ის ტანმაღალი ქალი იყო შენი საბედო, საღამოს რომ ეწვია შენს საფლავს და მერე გვიანობამდე რომ აღარ წასულა იქიდან, ვინ იცის...

ახლა მე შორსა ვარ კარპატებიდან, მაგრამ არ მტოვებს ფიქრი. ფიქრს სურვილიც ახლავს, დიდი სურვილი — ორიოდე სიტყვა დავწეროო შენზე. მართალია, მე არ ვიცი შენი სახელი და გვარი, არც სადაურობა. მაგრამ მე ვიცი, შენ იყავი კაცი კაცური. ვინ იცის, მკერდით გადაუღობე გზა გარეწარს, ვინ იცის, საკუთარი სხეულით ააფეთქე ხიდი, რომელზეც მომხდურის ტანკები შემოდიოდა. იქნებ ჰაერშიც დაიღუპე ასე უსახელოდ, როცა მტრის თვითმფრინავი გაანადგურე. იქნებ ცოცხალი არ ჩაუვარდი მტერს და უკანასკნელი ტყვია დანიშნულებისამებრ დახარჯე... იქნებ... იქნებ და ვინ იცის რამდენი რამ დაგრჩა უთქმელი. იქნებ ლექსები გიყვარდა, იქნებ სიმღერები. მერე რა, რომ არ ვიცი ვინა ხარ, სადაური. იქნებ ასეც სჯობს. დაე ყოველ გულდამწვარ დედას თავისი ეგონო, სატრფოს თავისი, ბავშვებიც თავისად გიგულებდნენ და ყველა კი საამაყოდ და სამაგალითოდ. რადგან შენ იბრძოდი სამშობლოს თავისუფლებისათვის. მამულს შესწირე შენი კაცობა, რომ მუდამ ყოფილიყო მზე და ყვავილები, რომ მუდამ ასე, სიმღერით ეზარდათ დედებს შვილები, რომ საბჭოთა ხალხს მტერზე გამარჯვების დღე ეზეიმა და ეს, შენი, უცნობი ჯარისკაცის საფლავიც ყოფილიყო სამაყო და არდასავიწყარი.

ნანა ჩიგოვიძე.

ქველი მეგობრობის გახსენება

ფრანგი პარტიზანები საქართველოში

როგორც გაზეთ „სამშობლოს ხმის“ ოქტომბრის ნომერში ვიუწყებოდით, მიმდინარე წლის ივლისის ბოლოსა და აგვისტოს დამდეგს ჩვენი საზოგადოების მოწვევით საქართველოში სტუმრად იმყოფებოდა ყოფილ ფრანგ პარტიზანთა დელეგაცია.

დელეგაციის შემადგენლობაში იყვნენ ესპანეთის სამოქალაქო ომის მონაწილე, ფაშოალეგეთის ფიაალღდგომის მოძრაობის პოლკოვნიკი, დიდების ორდენის კავალერი **ლუი შარსელ გოდეფრუა;** ყოფილი 108-ე პოლკის მეთაური, სამხრეთ-დასავლეთი საფრანგეთის გახთავისუფლების ერთ-ერთი ხელმძღვანელი, აჟამად სკოლის დირექტორი **პოლ ბუსკე** („დემორნი“); ყოფილი პოდპოლკოვნიკი, დორდონის დეპარტამენტის წიხაღლდგომის მოძრაობის ხელმძღვანელი, ქართველ პარტიზანთა საყვარელი გმირი, აჟამად ახალგაზრდობის დასასვენებელი ცენტრის დირექტოროი **როჟე რანუჭსი („ჰერკულია“);** მისივე პარტიზანული შენაერთის მომარაგების ყოფილი უფროსი. ამჟამად მკლერი **პიერ მორლე;** ოცეულის ყოფილი მეთაური, ამჟამად გაზეთ „ეკო დიუ სახტრის“ პასუხისმგებელი მდივანი **ჟან ბესი** („ბებე“), ასეულის ყოფილი პოლიტკომისარი, ამჟამად გაზეთ „კურიერ ფრანსუზის“ ლიტერატურული მარეუს დიპუი („როდოლფი“); „საიდუმლო არმიის“ ყოფილი ლეიტენანტი **ლესტანგე,** ყოფილი მეკავშირე, აჟენის სამხედრო ბანაკიდან ქართველ ტყვეთა გაქცევის ერთ-ერთი ორგანიზატორი, ამჟამად დიასახლისი ქალბატონი **ლუიზა როტაბული;** საფრანგეთში მებრძოლი პარტიზანი, ამჟამად ქ. ბორდოში (საფრანგეთი) მცხოვრები ჩვენი თანამემამულე **პეტრე ქიტიაშვილი** და მისი მეუღლე ქალბატონი **პოლეტი.**

საფრანგეთის პარტიზანულ რაზმებში მყოფი მეტი წილი ქართველები სწორედ ზემოთ დასახელებულ პირებთან ერთად იბრძოდნენ გერმანელი ნაცისტების წინააღმდეგ. საქართველოში ყოფნისას სტუმრებმა ინახულეს თავიანთი თანამებრძოლები, ბევრ მათგანს შინ ეწვივნენ, გაიხსენეს ბევრი საბრძოლო epიზოდი, რომლებიც ჩვენს თანამემამულეთა ვაჟკაცობაზე მეტყველებენ. ამ epიზოდთაგან ზოგიერთი უკვე გიამბეთ ჩვენი გაზეთის ოქტომბრის ნომერში. ამჟამად გთავაზობთ ჩვენი გაზეთის კორესპონდენტის გ. რთველიაშვილის ჩანაწერს საბჭოთა კავშირში ფრანგი **სტუმრების** მოგზაურობისა და შთაბეჭდილებების შესახებ.

* * *

ყოფილ ფრანგ პარტიზანთა დელეგაცია მოსკოვში 1966 წლის 30 ივლისს ჩამოფრინდა. სასტუმრო „მეტროპოლში“ დავბინავდით. დილით ადრე მოგვაკითხეს მოსკოვში მცხოვრებმა ალექსანდრე შაგაშვილმა და სტალინგრადელმა ვიქტორ ალექსეენკომ. ისინი ადრე „ჰერკულის“ პარტიზანულ შენაერთში „უკაცო კროკანში“ იბრძოდნენ და კარგად იცნობდნენ სტუმართა უმრავლესობას. ყოფილ თანამებრძოლებთან პირველივე შეხვედრა მეტად ამაღელვებელი იყო, მით უფრო, რომ აქ, სასტუმრო „მეტროპოლში“ ვიქტორ ალექსეენკოს გადასცეს საფრანგეთის მთავრობის ჯილდო — „საბრძოლო ჯვრის ორდენი“ ბრინჯაოს ვარსკვლავით, რომელიც მან 25 წლის წინათ გერმანელების წინააღმდეგ პარტიზანულ ბრძოლებში დაიმსახურა.

მოსკოვში სტუმრები ორ დღეს დარჩნენ. საბჭოთა მეგობრებთან ერთად იყვნენ ომის ვეტერანთა კომიტეტის თავმჯდომარესთან საბჭოთა კავშირის გმირ მარესიევთან, დათვალიერეს ქალაქის ღირსშესანიშნაობანი. მოსკოვში მიღებულ შთაბეჭდილებათა შესახებ სტუმრებმა შემდეგი თქვეს. პოლ ბუსკე — დიდებულია მოსკოვის კრემლი და წითელი მოედანი, პიერ მორლე — მოსკოვის მებრძოლ არაფერი არ შეედრება. ჟან ბესი („ბებე“) — უნივერსიტეტი ლენინის მთაზე შესანიშნავია. მარიუს დიპუი („როდოლფი“) — სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენის მსგავსი კვეყნად არაფერი მინახავს.

თბილისი.

პირველი ორი დღე მუზეუმების გაცნობას მოვანდომეთ. სახელმწიფო ისტორიული მუზეუმის შთაბეჭდილებათა წიგნში სტუმრებმა შემდეგი ჩაწერეს: „ჩვენ, ვინც კარგად ვიცნობთ ეინზ, მუსტიეს, ლასკოსა და პრეისტორიის სხვა ძეგლებს, კიდევ ბევრი რამ შევისწავლეთ აქ“.

საღამოს, ვახშამზე უოფნისას, რომელსაც ქართველ პარტიზანთა საზოგადოების თავმჯდომარე საბჭოთა კავშირის გმირი დავით ბაქრაძე ესწრებოდა, ლუი გოდეფრუამ შემდეგი განაცხადა: საბჭოთა კავშირში გამომგზავრების წინ თვითეულმა ჩვენგანმა გულდასმით გადაიკითხა საქართველოს შესახებ ფრანგულ ენაზე არსებული ყოველგვარი საცნობარო ლიტერატურა. ასე რომ აქ ჩამოსვლამდე ერთგვარი წარმოდგენა გვქონდა თქვენს ისტორიასა და კულტურაზე. მაგრამ გამოირკვა, რომ იმ წიგნებით თურმე ძალიან ცოტა შეგვიძენია, ან თითქმის სრულიად არაფერი შეგვიძენია. ჩვენთვის მხოლოდ ახლა გახდა ცნობილი, რომ ქართველები ყოფილან ფოლადისა და ოქროს პირველშემქმნელნი, რომ მსოფლიოს ბევრ გამოჩენილ მეცნიერს სამართლიანად მიაჩნია საქართველო ვაზის სამშობლოდ. ჩვენთვის, ფრანგებისათვის, რომელნიც ყოველთვის ვამაყობთ ჩვენი მდიდარი კულტურული წარსულით, ნამდვილი აღმოჩენა იყო ქართული ლიტერატურის განვითარების ისტორიის გაცნობა. თურმე თქვენი მხატვრული ლიტერატურის ზოგიერთი შესანიშნავი ნიმუში V-VIII საუკუნეებს

(გაგრძელება მე-6 გვერდზე).



სურათზე: ფრანგი პარტიზანები მოსკოვში, იური დოლგორუკის ძეგლთან.

კერიაზე მოგახსენებთ, ჩემო კეთილო, უტკბესი რამაა კერია... თავისმისადები. გულის დარდის გადამყრელი, იმედის მომცემი...

საყვარელი კერია — მშობლიური!

მაგრამ სიყვარულიცაა და სიყვარულიც!

ზოგი კაცი გუგუსსა ჰგავს, სხვის ბუდეს ეტანება და სხვის სხვენქვეშ სამადლოდ ცხოვრება ერთ რამედ მიაჩნია!

ზოგიც მერცხალსა ჰგავს — თავისი ბუდე უყვარს, თუ დაუნგრევ, ახალს აიშენებს, ნაბუდარს კი ვერ დაივიწყებს.

თავის ქვაბაში ნურავინ ჩამოგვართმევს და, ქართველები სწორედ ასეთნი ვართ — კერია გვიყვარს, ჩვენი ბუდე გვიყვარს, ცრემლით და სისხლით გვიმაგრებია...

ამ ნანგრევებს რომ ხედავთ, ჩემო კეთილო, უძველესია... თორმეტი ასეული წლის წინათ დაანგრია იგი მურვან ყრუმ... აქ სოფელი იყო მაშინაც, ამ ჭალიდან მოყოლებული ბაკურის სოფელი იყო — ზემოთ გელათის ტყე და ფლატეები... აი აქ, ახლა რომ კოლმეურნეობის კლუბია გამართული, ღვთისმშობლის ტაძარი იდგა, ეს ქვის სვეტები მისი ნაშთია სწორედ... ჰოდა, აქაურობა პარტახად აქცია მურვანმა, ხალხი მთებში გაიხიზნა, მხარე გაჩერებულა...

მურვანის შემდეგაც ათგზის მოარბიეს ეს მხარე. ყველას სურდა ამ ბაღნარში ბუდე გაეკეთებინა... ხან ოსმალო გუგული გვეძალებოდა, ხან სხვა ტომისა...

როცა შიშიანობა გაივლიდა, მთებში გახიზნული ქართველობა კვლავ ჭალა-ხეობებში ჩამოვიდოდა, მონახავდა კერიის ქვას, ჩაყრიდა ვაზს, საჩრდილოდ მუხას, სახარდნედ ეკალხეს, სამაღლაროდ კაკალ-ცაცხვს, გათლიდა დედაბოძს და აღორძინებდა სოფელს.

გლეხმა ყველაზე მეტად იცის ბუდის სიყვარული. მერცხალივით უყვარს მიწა, გლეხი იყო ამწევი და გამწევი, მკეთებელი და დამცველიც.

როცა დიდი თურქობა ჩათავდა, ამ ნანგრევებსაც ეწვია ჭაბუკი გლეხი, სახელად ბაკური, დასახლდა პაპისეულ კერაზე, სახნისი გაფერა და — აკვანს შანა შეაბა.

რამდენი ბიჭიც ეყოლა, იმდენი მუხა დარგო... გახედე, აგერ ცალკე დგას ათი დევკაცი, ათი მუხა, ათთვე, მოგახსენებენ, ბაკურს დაურგავს საკუთარი მარჯვენით... ჰოდა, გაღმა გახედე, ჩემო კეთილო, ხევში რომ სოფელი ჩანს, ექვსი ცაცხვი რომაა ერთად, გორაკზე რომ კლესიაა წამოსკუპული, კურსები ჰქვია იმ სოფელს, ეს სახელი ბაკურმა შეარქვა იქაურობას. აბა იმ გორაკს დაუკვირდით — ოთხივე მხრივ ისეთი ფლატეები ახლავს, თითქოს კუს ფეხები გაუშვერიაო, აგერ, იქით, მეხუთე მხრივ თითქოს კუს თავიაო, საგიშრე მთის კუდია აწეული... ხომ ჰგავს გოლიათ კუს? ჰოდა, ბაკურიც იმ ადგილს კუსებრის ეძახდა, მერე, დროთა განმავლობაში კუსებრი — კურსებად იქცა... რაღა გავაგრძელო, იმ კუს ზურგზე ბერეკამ გამართა კერია (მისი ჩამომავლები ახლაც ცხოვრობენ კურსებში, ბერეკაშვილებად იწერებიან) ბერეკა ახალგაზრდა იყო ბაკურზე და მხოლოდ მეექვსე შანა შეაბა აკვანზე... მეექვსე ცაცხვი დარგო... მეექვსე გოგო შეეძინა, სახელად თათული დაარქვა.

იზრდებოდა აქ თანელა — იქ თათული.

სწორედ ისე მოხდა, როგორც თქვენ ფიქრობთ. მათ ერთმანეთი წყაროზე ნახეს, ერთმანეთი გათვალეს და გულები დაცვალეს.

ჰეე, კაცის გული პატარაა, მაგრამ მძლავრია, კაცი ადვილად ღმერთს შეეჭიდება, თავის გულს კი ვერა...

ბაკურის მეათე მუხამ მოიტაცა ბერეკას მეექვსე ცაცხვი... მეათე ქორწილი გამართა ჭარმაგმა ბაკურმა თავის ბუდეში, რომელიც გამრავლებულ ბარტყებს ძლივსღა იტევდა.

* * *

პირველი ბიჭი რომ შეეძინა, ათანელამ დიდი ნადიმი გამართა. კურსებელი და ზემოური მოყვრები ძლივს დაიტია საღხინოდ და ღამისსათევად ბაკურისეულმა სახლ-კარმა. გულით უნდოდა ცალკე ბუდე ჰქონოდა თავის ბარტყებისათვის, ცალკე დაეწყო მუხების რგვა, მაგრამ განზრახვას ვერ უმხელდა მამას, ეკრძალებოდა.

ბუდის გაყოფა ნახევარი სიკვდილი იყო ქართველისათვის...

ერთხელაც გატყდა ჩხირი...

ტყიდან ბრუნდებოდნენ. ზორბად დატვირთული ურემი ჭრიალით აკრთობდა ნესტიან ტყის მდუმარებას. ერთ პაწია ორმოში ჩახტა თვალი, ღერძმა ვერ გაუძლო დარტყმას, დაიჭრიალა და გატყდა. გვერდზე გადაწვა ურემი. ცეცხლი მოეკიდა ბაკურის სახეს. მუხლი რომ გადატეხოდა, ასე არ ეტკინებოდა... ტვირთს ვეღარ უძლებდა მისი გამართული ურემი?! ჰაი დედასა!! — რა გზა იყო, ხარები გამოუშვეს, ურემი დაცალეს, საღერძს დაუწყეს ძებნა.

აღარ გვყოფნის ერთი ურემი...

ამოსცრა ათანელამ. არაფერი უპასუხია ბაკურს. ბერეკაცმა ჭალისპირზე ეკლის ხეს მიაგნო და ცული შემოჰკრა. სიტყვას უფრთხოდა, მუნჯად იქცა თითქოს, ოფლს ღვრიდა, ძარღვებს ძაგრავდა, ხეს თლიდა, აკოპიტებდა.

მალე გამთავრა ცალი მხარე. ცული შიაგდო, ისვენებდა. ათანელა წვდა — მეორე მან ითავა. გამოაკეთა. მოარგეს თვლები, ზედ ურემი შეაყენეს, დატვირთეს, ხელპირი დაიბანეს რუზე. დასასვენებლად მისხდნენ.

მშვენიერი გარემო იყო. კორდეში ყვაოდნენ გამორჩევით, ნაგრიანები ყვავილები თვალს იტაცებდა. ათანელამ ხელი გაიშვირა მუხებისაკენ, თქვა:

— საკვირველია სწორედ მუხების წყობა... აგერ ბერმუხა ისე ზვიადობს, მის ქვეშ პატარა მუხებს ვერ გაუხარიათ, ჩრდილი აკნინებთ... ცალკე მდგომ ხეებს უფრო აუყრიათ ტოტები, რაკი მზის გული მოუნადირებიათ...

ენიშნა გონიერ მამას შვილის იგავი...

ერთი ურემი აღარ გვყოფნისო, წეღანაც წამოცდა...

მიუგო:

— ცალკე მდგომ ხეს მეხი ემტერება... გვალვაც...

იგრძნო ათანელამ, ფიქრს რომ მიუხვდა მამის გული... შეეპასუხა.

— ბევრი ლეკვი დედა-ლომსაც ჭანცავს... ძუძუს ასაკს რომ მოლევს, გეშს აძლევს, მარტოსულს ანადირებს...

— ვიცი... არწივის მართვე რომ ბეღურას მოინადირებს, თვალი ქურციკზე წაუვა მერე...

თქვა ბაკურმა და ჩაფიქრდა. თვალი გატეხილ ღერძზე დაასო. ბეშვით წყალი აართვა რუს, როცა ძირს დაიხარა, მხრიდან კაპარჭი ჩამოუცურდა. უნებურად აიღო ისრის კონა, თვლას მოჰყვა, თან ფიქრს აყოლებდა: — თუ ბუდიდან არ გადააფრენ, მართვე არც დაარწივდება... ხე რომ მუდამ ერთ ძირზე მრავლდებოდეს, ტყეც აღარ იქნება... ერთ ურემს ორი აჯობებს, თუ ორივეში ერთი ჯიშის და ერთი ფაშვის მოზვრები დახარდებიან.

ისრის კონა გადათვალა. მეათე ისარი აწვალა ხელში. მეათე ისარი ლამობდა კაპარჭიდან გასხლტომას. კვლავ ამდინარა ფიქრი. — სწორედ უთქვამს იმ ბრძენს, ერთი ისარი ადვილი გასატეხია, ათი კი ძნელი... მაგრამ მშვილდი რომ ერთ ჯერზე მხოლოდ ერთ ისარს ტყორცნის და არა ათს, ამაზე თუ უთქვამს ბრძენს რაიმე?...

მუხა-კაცის თვალები, ხელები და შუბლის ნაოჭები გადმოსცემდნენ სულის მოძრაობას, აზრის წამებას. მამის გუმანს მიაგნო ათანელამ, კრძალვით უთხრა:

— მაინც შენი კაპარჭის ისარი ვიქნები, მამავ ბატონო... შენს საბელზე მოზიდული... ერთ ურემს კი ორი სჯობია, მეტ ტვირთს შევეგმებით, მეტ ლხინსა და ჭირს ვიბარგებთ...

ბაკურის თვალს წყვილი მარგალიტი მოწყდა — ერთი სინანულის, მეორე სიამის. უბრად იარეს სახლამდე. უვახშმოდ დაწვა ბერიკაცი.

დიდხანს იფიქრა ბაკურმა და ერთ დღეს ამოიგმინა:

— გადამიფრენიხარ!

და ათანელაც გადაფრიხდა. მახლობელ გორმახზე ავიდა, ტყე-ბუჩქნარი გაკაფა, სამოსახლო მოამზადა.

ეხმარებოდნენ: მამა, დედა, ძმები, სოფელი, ერი და ბერი.

დიდხანს ჯოჭები, თავხეები, ლარძაყინები, საკედლეები, საიატაკე და სალამფე ფიცრები.

ანაზდად მთის ქვეშ ერთი მხლებელთაგანი შეძვრა. ჩურჩული ატეხა. მთა წამით შეტოკდა, მიირხ-მოირხა. ორიოდე ადლით დადაბლდა და ბალახებზე დაესვენა. მის ქვემოდან ჯერ მხლებელი გამოხტა დამფრთხალი და შეშინებული თვალებით, მერე მშვიდი სახის ათანელა გამოვიდა, მუხლი მოიყარა მეფის წინაშე, თავდახრილმა ამოილუღლუღა:

— შემინდე უნებური კადნიერება!...

მეფე ჩამოქვეითდა, მხარზე დაადო ხელი. ვეღარ აიღო — არსად ენახა ამისგანე მხრები. უნებურად გაშალა მტკაველი, არ გაწვდა.

— ადექი!

ერთხანს ვერ ბედავდა ათანელა ადგომას. ეუხერხულებოდა მეფესთან ასე ახლოს, თითქმის ცხვირისწინ ფეხზე დგომა.

— ადექი, ვაჟო, — კვლავ უთხრა მეფემ და მხარი აუწია. ათანელა წამოიმართა და მეფეს უკანდახევა მოუხდა — მას ზემოდან დასცქეროდა ორი თვალი არწივისა, მღელვარებით ატოკებული საფეთქლები, დაფართოებული ნესტოები. ესმოდა გულის ბაგაბუგი...

— ვინ ხარ, სადაური?

— აქაური ვარ, ბაკურისძე!

— ბარაქალა მამაშენს... რამდენი წლისა ხარ?

— ცხრამეტი ჩავათავე, მეოცეს შევუდექი.

— ეგ ზვინი საღღა მიგაქვს?

— ქოხი წამოვიწყე, კერას ვიშენებ, საცხურავად მიმაქვს.

მცირე ხანს სდუმდა მეფე. სახეზე სიხარულის ღიმი აეხატა.

— უნდა დაგილოცო კერა! — თქვა ბოლოს.

— ღვთის ნებაა, ახდენილი სასწაული! — მუხლთადრეკით თქვა ათანელამ.

— სახელად რას გისხმობენ, ვაჟო!

— რაც ვენებოთ — ის მიწოდეთ, შინაურებში კი ათანელას მეძახიან... რიგით მეათე გავუწიწდი დედაჩემს, ამიტომაც...

— ბარაქალა მის ძუძუს — თქვა მეფემ და ამხედრდა. მიჰბაძეს სხვებმაც. მეფე ისლის ზვინ-მთასთან მივიდა ცხენით, შემოუარა, ღელეებს დაუკვირდა, კვლავ ათანელას პირდაპირ დადგა და ღიმილით უთხრა:

— შენი სახელი მთაკაცი უნდა იყოს ამიერიდან! ასე ჩაგწერ ჩემს სპაში...

თავი დახარა ათანელამ.

— წყალობად მივიჩნევ, მეფევ!

მეფემ მხლებელთ უბრძანა წამოეღოთ ისლის ზვინი. შორს დაეჭირა მთაკაცმა:

თუ არ გამირისხდები, მეფევ ბატონო, საშვილიშვილო ტვირთია და მე მარტო უნდა წავიღო... მერე წავიღებ...

ზვინის დატოვება იუარა მეფემ, ოსტატები მოცდებინო. მაშინ მთაკაცი ზვინქვეშ შეძვრა და ამალას წინ წაუძღვა მოსიარულე ისლის მთა.

დალოცვილია ეს ადგილი, თვალი ვერ ძღება მისი ხილვით. გახედე, წყალწითელას გაღმა-გამოღმა როგორ ჩამწკრივებულან ქოჩორა გორები — ეს გორები და ხეხუვები მაშინ სულ ტყით იყო დაფარული და თვალი ვერ ძღებოდა მისი ცქერით, ყური ხეთა ჩურჩულის სმენით. ტყე იყო გაწოლილი ლურჯ-მწვანე ბეწვაშლილ ნაბადივით, გულისპირივით ჩაჰყვებოდა ვერცხლისფერი წყალწითელა, გაზაფხულზე

(დასასრული მე-6 გვერდზე).

ჭრაქი

სერგო ჭეიშვილი

მოთხრობა

საბჭოური ხევსური

№ 22-23, დეკემბერი, 1966 წ.

(დასასრული)

რომ გადაირეოდა და მოწითალო ბაღდადივით გაიშლებოდა ჭალა-ხეობებში. ამ ლამაზ მხარეში წარმტაც კუნძულივით ყვავოდა ბაკურის სოფელი, თვალის საამოდ, გულის სატკბობად.

როცა სამოსახლო გორმახზე ავიდნენ, მეფის თვალწინ მშვენიერი სანახაობა გადაიშალა. ასწლოვან ცაცხვის ქვეშ ვეებერთელა გლეხური დარბაზი გაემართათ ხუროებს. განა მარტო დარბაზი!? სამზადი, ბოსელი, მარან-ბეღელი, ყველაფერი საჭიროდაჭირო და საშვილიშვილო, წაბლისა და მუხის გულისაგან, სახურავიდა აკლდა.

სამოსახლოზე მომუშავე ნადი შემცბარი შესცქეროდა უცხო ცხენოსნებს, რომლებიც ფეხდაფეხ მოჰყვებოდნენ ისლის მთას. წინამორბედმა დააპირა ჩვეულებრივი წესის შესრულება — უნდოდა სოფლისათვის ეცნობებინა — მეფე მობრძანდებაო, ბუკ-საყვირიც მოამზადეს, მაგრამ მეფემ დაუშალა: არ გვეღიან, სოფელი შრომაშია გართული, მოცდებიანო.

ასე შევიდნენ მთაკაცის სამოსახლოში.

ისლის მთა შეიდგა. შეჭორტმანდა და ორი ადლით ძირს დაიწია. მის ქვემოდან ათანელა გამოძვრა და მხრები შეიბერტყა. სიხარულით მოელვარე შავი თვალები შეანათა პირდაფჩენილ ხუროებს, რომლებიც მოჯადოებულებივით შესცქეროდნენ უძვირფასეს კაბა-ჯუბებში გამოკვანძულ ადამიანებს. მათ არასოდეს არ ენახათ მეფე და აბა მის სტუმრობას რას წარმოიდგენდნენ.

— სოფელო! მირონცხებულმა მეფე დაგითმა მზე მოჰფინა თავისი სტუმრობით ჩვენს პატარა კუთხეს!

შესძახა მთაკაცმა, მუხლი მოიდრიკა და მხრები გაშალა ახლად ტანაყრილი მუხის ქვეშ. თავადაც მუხას გავდა. ტანკორძას და მაგარს.



მუხლი მოიდრიკა სამოსახლომ მეფის წინაშე. თაყვანი სცა. ჩამოქვეითდნენ ცხენოსნები. საბაზარო კარავი გაშალეს ფარჩადიბისა. ათანელას მამა წარუძღვა მეფეს.

— ღვთის ნებაა თქვენი სტუმრობა, მეფეო, ბატონო! ამაზე ბედნიერი დღე არ გათენებია ჩემს ოჯახს... როგორ შეეკადროთ მასპინძლობა!

— სტუმარი ღვთისაა, ღმერთი კი ყველას თანაბრად გვმზრუნველობს! — თქვა მეფემ.

ეს დასტური იყო — მასპინძლობას მიიღებდა.

დაფაცურდა სოფელი. ცეცხლი დაანთო, სისხლი დაღვარა, დააცხო, მოხარშა, შეწვა და შეაწვინთლა.

სამოსახლოზე დააპირეს სეფის გამართვა. ისლის ზვინი იდგა უადგილო ალაგას. წამოდგა ბაკური, მამა მთაკაცისა, ზვინს ხელი დაჰრია, ჰოლოკი დაგრიხა და გარდიგარდმო გადაუჭირა, სოკოსავით ასწია და დაუსურავი დარბაზის ქილუქთან მიდგა.

მეფე თვალს აღევნებდა, გული გაეხსნა და მუბლი გაუნათლდა. ყველაფერი თვალით და ხელით გასინჯა მეფემ, შენიშვნებიც მისცა ხუროებს, ზოგი რამ მოიწონა, ბოლოს მარანთან შეჩერდა.

— საწნახელი არ გქონია, მთაკაცო!

— ახლა ვჩორკნი, მეუფევ, რთველზე გამოპირკეთებული მექნება!

— ტყისპირად რომ ხეა გაშოლტილი, ნაჩორკნი...

— სწორედ ის გახლავთ, ბატონო... მეფეც ასე ფიქრობდა.

* * *

ბაკურის შვილიშვილებმა ხელი დაბანეს სტუმრებს. სეფა მზად იყო. სოფელი უმასპინძლდებოდა მეფეს.

სიჭაბუკეში ბევრჯერ მჯდარა მეფე დვითი მდაბიოთა წვეულებაზე. ეს ართობდა მას. ახლაც მოუნდა განეცადა გარდასული ნეტარება ყრმობისა. ჩაჯდა და გეგერდით ბაკური მოისვა. ნიშში გახვეული ნადუღი და კუტი პური ითხოვა, გაიკვირვეს და მიართვეს, ნაკვერცხალზე შემწვარი კალმახი ისურვა — გაუწინეს... ჭაშნაგირმა დაჰპირა სუფრის გამხსნელება, არ დაანება მეფემ.

— აქ არ მჭირდება ჭაშნაგირი, აქ ჩემი მარჯვენა და მარცხენა ხელი მაწოდებს, სოშიში არ არის ეს ლუკმაო, სუფრისთავადაც განთქმული ბარათა როდი ინდომა — ოჯახის მამას მიანდო, ბაკურმაც მიიწდო, ღმერთი ახსენა, ლუკმა გატეხა, პირჯვარი გადაისხა და ორმტკაველიანი ჯამი სახეზე აიფარა.

— ასე მტერი დაეცალოს ჩვენს მეფეს და ქვეყანასაო! — ცერზე დაიწრიტა სასმისი და საგალობელი წამოიწყო... მეიროდა სოფელი მამულის, მეფისა და ღვთის სადიდებელ ჰიმნს.

ადღეგრძელეს მეფე, დედოფალი, უფლისწული, დედულ-მამული. სვამდნენ, დარბაისლურად საუბრობდნენ. სიმღერას დაავგერგანებდნენ, როგორც კორტოხს დაუზანზარებდნენ და კვლავ ნადიმობდნენ...

მეფე დვითი და ათანელა პირისპირ ისხდნენ. სიზმარშიც გერ ინატრებდა ასეთ დღეს ბაკურის ჩამომავალი. მეფის მხრებზე ღომის ფაფარივით ჩამოშლილიყო მუქი წაბლისფერი თმები, ყასიდად ფერის წვერულვაში ამკობდა თითქოს საგანგებოდ დახატულ ლამაზ სახეს, ზვიადს, ამაყს, მაგრამ საოცრად თბილსა და ახლობელს.

მეათედ დაცალა ჯამი ბაკურმა.

მეათედ — მეფემაც.

როცა მეთერთმეტე ჯამი აიღეს ხელში — მეფემ სიმღერა წამოიწყო:

მზევ შინა და მზევ გარეთა,
მზევ შინ შემოდიო!...

მოსაღამოვდა.

— კერიის ქვა თუ გათალეთო — იკითხა მეფემ.

— მამაპაპისა გვაქვსო, მიუგეს. ნახვა მოიწადინა. ნახა. იმოდენა იყო, სარზე შესაწვავად წამოგებული ხარი გაიმართებოდა ზედ. მეფემ კმაყოფილი სახით გადახედა მთაკაცს და ვიდრე ვინმე რამეს მოიფიქრებდა, ქვას ხელი დასტაცა, ამოიღლიავა და დაუხურავ დარბაზში შეიტანა. თვალით მოსინჯა ადგილი, მოასადგა. თქვა:

— კერიის ქვა დავგიდევს, შენი შეწევნით, უფალო. ნუ მოაკლებ თვალსა და კალთას... არასდროს ჩამქრალიყოს!...

— ამინ!

დაიგუგუნა სოფელმა.

— ეს რა ყოფილა, — ფიქრობდა ბაკური, — ხუთმა კაცმა ძლივს გადავაბრუნეთ, ამან ბალიშივით ამოიღლიავა... ალბათ, უფლის შეწევნითო... დიდება შენდა, ღმერთო!...

რაც მეფეო — ის სეფაო, რაც ერიო — ის ბერიო...

იყვნენ ახოვანნი...

მეფემ საბოძვარი გასცა. გლახაკნი განიკითხა, სამართალიმხნა. სოფელმა ისარგებლა შემთხვევით — წყლულები გადმოშალა, მეფემ ზედ მალამო დაადო. ათასში ერთხელ ეწვეოდა სოფელს ამგვარი შემთხვევა, ახლაც ეწვია და გამოიყენა. მეფე წავიდა და სოფელი დამოშმინდა.

იმ ღამეს მეფის მიერ გამართულ კერაზე სანთელი აანთეს.

კერა გათბა.

არც არასოდეს გამქრალიყოს მისი სითბო.

ქვეღი მეგობრობის გახსენება

(გაგრძელება)

განეკუთვნება, ხოლო მისი აღორძინება — ქართული რენესანსი XII საუკუნის პირმშოა.

— ყოველივე ამის შემდეგ სავსებით ბუნებრივად გვეჩვენება ის ფაქტი, რომ თქვენს რესპუბლიკას ერთ-ერთი პირველი ადგილი უჭირავს მსოფლიოში უმაღლესი განათლების მქონე პირთა პროცენტული რაოდენობის მიხედვით, — დაასრულა საუბარი „ჰერკულმა“.

5 აგვისტოს კახეთში გავემგზავრეთ. განზრახული გვქონდა ყაზბეგის, ალავერდის ტაძრის, თელავის მხარეთმცოდნეობის მუზეუმისა და წინანდლის საბჭოთა მეურნეობის დათვალიერება. მაგრამ გზაში ყველაფერი შეიცვალა. როგორც კი თბილისს გავცდით, „როდოლფმა“ მითხრა, კაცი, რომელმაც მე, „ჰერკული“, „ბებე“ და შვიდი სხვა ფრანგი სიკვდილს გადაგვარჩინა, თურმე კახეთში, სოფელ აკურაში ცხოვრობს და თუ როგორმე მის ნახვას მოვახერხებთო, დიდად დაგვიმადლებთო.

დღის 12 საათზე აკურაში ვიყავით. მანქანები სოფლის ორსართულიანი კლუბის შენობასთან გავაჩერეთ და საფრანგეთის პარტიზანებში „შაჭროს“ სახელით ცნობილი გიორგი ლამაზოშვილი ვიკითხეთ. სამწუხაროდ, გიორგი ცოცხალი აღარ დაგვხვდა, ამ ხუთიოდე წლის წინათ მანქანა გადაუბრუნდა და იმავე დღეს გარდაიცვალაო, გვითხრეს. სტუმრებს დიდად ეწყინათ ეს ამბავი.

— იქნებ მისი საფლავი მაინც მოგვენახულებინა? — მეკითხება „ჰერკული“.

— რა თქმა უნდა, რა თქმა უნდა, — ვეუბნები მე და იქვე თავმოყრილ გოგონებს მივმართავ, — სტუმრებს ლამაზოშვილის საფლავზე უნდათ მისვლა, იქნებ გზა მიგვასწავლოთ.

— ცოტა ხანს მოითმინეთ, მის ვაჟს დავუძახებ, — მეუბნება ერთი ბრინჯაოსფრად მზემოკიდებული ქალიშვილი და თავის მეგობრებთან ერთად სადღაც გარბის.

ხუთიოდე წუთის შემდეგ ქალიშვილები ისევ გამოჩნდნენ და თვითეულ სტუმარს მშვენიერი ყვავილების თაიგული მიართვეს.

ფრანგები უაღრესად ნასიამოვნები დარჩნენ. ვიღაცამ ჯიბიდან ფული ამოიღო, მაგრამ ქალიშვილებმა შორს დაიჭირეს, როგორ გეკადრებათ, რომ გვცოდნოდა მობრძანდებოდით, უკეთესად დავხვდებოდით. მაშინ „როდოლფმა“ ჯიბიდან ფრანგული სამკერდე ნიშნები ამოიღო და სახეგაბრწყინებულ ქალიშვილებს ჩამოურიგა.

ამასობაში გიორგი ლამაზოშვილის ვაჟიც გამოჩნდა. ფრანგებმა ღვიძლი ძმასავით მხურვალედ გადაკოცნეს. მერე თეგგიზი (ასე ერქვა გიორგის ვაჟს) მანქანაში ჩავისვით და სოფლის თავში გორაზე მდგომ პატარა ეკლესიასთან სასაფლაოზე ავედით. აქ ლამაზოშვილის ქვრივი და მისი მეზობლები დაგვიხვდნენ. ძეგლიდან გიორგი ლამაზოშვილი, შავგვრემანი კაცი ვაუკაცი გვომზერდა. ფრანგი პარტიზანები სათითოდ ეამბორნენ თანამებრძოლის სურათს და ყვავილებით შეამკეს მისი სამარე.

— თუ შეიძლება, თითო შესანდობარიც უთხარით, — ჰიქას მაძლევს ხელში თენგიზი.

გარდაცვალებულის ხსოვნის სადღეგრძელო ვთქვი, ჭიქა სანახევროდ დავცალე. და დანარჩენი ღვინო საფლავზე მომოვაქციე.

ცრემლმორეულმა ფრანგებმა იგივე გაიმეორეს.

შემდეგ ლამაზოშვილის ოჯახისა და მისი სტუმრების სადღეგრძელო შევსვით, მერე შინმოუსვლელი ვაუკაცებისა, მშვიდობის დამცველებისა...

— ამ სახელდახელო სუფრაზე ბოდიშს ვიხდი და ახლა კი შინ უნდა მეწვიოთ, — გვეპატიჟება თენგიზი.

მე მადლობას ვუხდი, ვეუბნები, რომ სხვა გეგმა გვაქვს, უნდა ვინახულოთ იყალთო, ალავერდი... თანაც ასეთი მოულოდნელი სტუმრობა...

— ოჯახი, თავიანთი მეგობრის ოჯახი ხომ უნდა ინახულონ! ხალხი საღამოსად ჩამოვიდა, გაგვიხსენა, არ დაგვიწყია. მაგათი აქედან ეგრე გაშვება ოჯახის პირცხვილია. უარს ნუ გვეტყვით, თქვენი ჰირიმეთ, — თვალცრემლიანი გვევედრება ოჯახის დედა.

ფრანგები ჩვენს კამათს უსმენენ და გაკვირვებით შემოგვცქერიან. მე ვუხსნი, რაშიც არის საქმე: თუ აქ დავრჩებით, მეთორმეტე საუკუნის დიდებულ ძეგლებსა და ჰვეშვაძის შესანიშნავ კარმიდამოს ვეღარ ვიხილავთ, თუ წავალთ — სტუმართმოყვარე ოჯახსა და მთელ სოფელს გავანაწყენებთ.

ხმის უმრავლესობით დარჩენა გადავწყვიტეთ.

სადილის მომზადებამდე კოლმეურნეობის ფერმები და ბაღ-ვენახები დავათვალიერეთ.

ბარაქიანი შემოდგომის მოლოდინში იყო კახეთი. რთველობამდე მთელი ორი თვე იყო დარჩენილი, მაგრამ უკვე ახლა დალოცვილი ვაზი სიმძიმით წელში იღუნებოდა. სელაპებივით ეყარა მინდორში ნესვი და საზამთრო. ბებერი მუხის ჩრდილში ახალგაზრდები ტაშფანდური გაეჩალებინათ. იქვე მახლობლად ბერიკაცები სადილს შეეცილოდნენ და ჯამებით სვამდნენ დალოცვილ კახურს. სუფრაზე მიგვიწვიეს, თითო ჯამი ჩვენც დავცალეთ. მეტის დალევაზე სტუმრებმა უარი განაცხადეს. სამაგიეროდ დიდი სიამოვნებით შეექცნენ ნესვსა და საზამთროს. ამის შემყურე კახელებმა უამრავი საზამთრო დასჭრეს, მხოლოდ საუკეთესოებს არჩევდნენ და გულით სთავაზობდნენ საპატრო სტუმრებს. მერე ყველა ჩვენი მანქანის საბარგულები ნესვითა და საზამთროთი გაავსეს, ისევ გვადევრძელეს, მშვიდობით მგზავრობა გვისურვეს და სიმღერითა და ხალისიანი შეძახილებით გამოგვისტუმრეს.

(დასასრული შემდეგ ნომერში).



სურათზე: ფრანგი პარტიზანები კოლ. აპურაში გიორგი ლამაზოშვილის საფლავთან.

ღაუკითხეთ თქვენს პატარებს

შიო მღვიმელის დაბადების 100 წლისთავის გამო



შიო მღვიმელი.

დეკემბრის მეორე ნახევარში ქართველმა ხალხმა სიყვარულით აღნიშნა გამოჩენილი საბავშვო მწერლისა და უანგარო საზოგადო მოღვაწის შიო მღვიმელის (1866-1933 წ. წ.) დაბადების 100 წლისთავი.

თბილისში, რესპუბლიკის ქალაქებსა და სოფლებში, აგრეთვე პოეტის მშობლიურ სოფელ გრემში (ქარელის რაიონი) გაიმართა საიუბილეო საღამოები. რესპუბლიკის გამოცემლობები მალე მკითხველებს მიაწოდებენ პოეტის რჩეული ლექსების კრებულებს ქართულ და რუსულ ენებზე.

ამ გვერდში ვგებდავთ შიო მღვიმელის რამდენიმე ლექსს, რომლებსაც ვფიქრობთ თქვენი პატარები სიამოვნებით ისწავლიან.

პაწია მერცხალი

მე პაწია მერცხალი ვარ
მოჭიკჭიკე, მოალერსე;
ნეტავი რა დაგიშავე,
ქვებს რომ მესვრი ბიჭო სესე?!
სიყვარულით, სიხარულით
მთები, ზღვები გადმოვლესე,
სანამ შენთან მოვიდოდი
ერთხელაც არ დავიკვნესე.
შორით თვალებს გიკოცნიდი,
ცის ლაჟვარდში ვსრიალებდი,
ვჭიკჭიკობდი, შეგამკობდი,
სულ შენ შემოგტრფიალებდი.
ცხრამთა გზიდან მომავალი,
მოქანცული, მოღალული,
დაბლა-დაბლა ვეშვებოდი,
შენ გეძებდა ჩემი გული.
აი, მოველ, დაგინახე,
გულში ია-ვარდი ვთესე.
ავჭიკჭიკდი უფრო ტკბილად,
ხმები გავიუკეთესე.
გეფიცები და-ძმობასა,
მხოლოდ ეხლა დავიკვნესე,
არ გრცხვენია, უმიზეზოდ
ქვებს რომ მესვრი, ბიჭო სესე?!

1912 წ.

ჩემო ტკბილო საქართველოვ

ჩემო ტკბილო საქართველოვ,
მოგილოცავთ დღეის დღესა;
მონობიდან თავდახსნილო,
აღარ ისმის შენი კვნესა,
თუ რამ გჭირდა სიდუხჭირე,
წყალს გაჰყვა და გაილესა,
შენს ნაეკლარ ნიადაგზე
ია-ვარდი დაითესა.
მოგილოცავ ახალ წელს და
ვისურვებ, რომ ასე რებდე:
თავისუფლად გმირის სახელს
საუკუნოდ ატარებდე;
ვინც მოვიდეს, შეგეხიზნოს —
შვებასა და ლხენას გრძნობდეს...
მაისი ხომ მაისია,
იანვარიც მაისობდეს.

ახალი წელი

მოვდივარ, მოგიხარია
ნორჩი სწლით და გულითა,
უმანკო სიცილ-ღიმილით,
მგალობელი ტკბილეულითა!
ყველგან თანაბრად შევდგამ ფეხს
სახითა მხიარულითა,
გინდ იყოს სახლი ქვიტკირის,
გინდ ქოხი კედელწნეულითა.
ღარიბო, წელში გამაგრდი,
ნუ დაეცემი სულითა,
მე შენთან როდი მოვსულვარ
ქველი წესით და რჯულითა.
აღარ დაგტოვებ, იცოდე,
ცხოვრებითი უფერულითა;
მდიდარო, ტყვილად კოპაწა
და თავი მოგაქვს ფულითა.
ჩემს გულში არა ჭრია
ურთიერთ მტროება-შურია,
არდე, გაუნაწილე,
ვისაც ჯობია და სწყურია.
ვისაც სიცივე აწუხებს,
საბანი არა ჰხურია,

სწყევლის გაჩენის წუთებსა
და გედის უმადურია,
თორემ მოგხვდება შენ პირველს
სველ-სველი თოვლის გუნდები
და წალმა ფეხით მოსული
უკუღმა გამოგბრუნდები...

1911 წ.

დილა

ცამ ირაყრაქა მტრედისფრად,
მამალთ შესწყვიტეს ყივილი;
წამოიმალნენ ჩიტები
და მორთეს ჟივილ-ხივილი.
დაჰბერა ცელქმა ნიავმა,
ფოთოლმა დაიშრიალა,
კურდღელი კორდზე გამოხტა,
ტოროლამ დაიფრთხიალა.
მერცხალმა მორთო ჭიკჭიკი
თავის ყურტუტა ხმაზედა,
ნელ-ნელა თავი იჩინა
მზემაც სხივგაშლით ცაზედა.
სინათლემ სძლია სიბნელეს
გაჰფანტა ღამის წყვდიადი,
ბალღებო, გამოიღვიძეთ
დილაა მეტად დიადი!

1891 წ.

გიჭო, ნუ იჭერ პეპელას

გიჭო, ნუ იჭერ პეპელას,
ფრთამალალია, ბრალია,
კოკწია ყვავილებისა
და მინდვრის ტურფა ქალია.
სუყველას, დიდს და პატარას,
უმზერის თანაბარძნობითა,
დაეხსენ, თორემ ყველანი
მოგიგონებენ გმოგებითა.
ოგლად რომ ხედავ ყვავილსა,
ე, მინდვრის განაპირასა,
სულ მუდამ ღამე პეპელა
იძინებს იმის ძირასა.
დილაადრიან ადგება,
მიესალმება ტკბილადა
და მერე ფოთლებს უკოცნის
მოწიწებით და ფრთხილადა.
სხვა ყვავილებსაც ნახულობს,
უვლის მთელ არემარესა,
არ ეკარება ეკალსა,
შხამიანსა და მწარესა.
საღამოს ოგოლ ყვავილთან
მოდის კვლავ დასაწოლადა.
შენ რომ მოუკლა, საბრალოს
ვერა მიუშვა ტოლადა?.

1911 წ.

ყაყაჩო

ყაყაჩო მძვია სახელად,
მეც ყვავილი ვარ ველისა;
მიყვარს ფითელი სამოსი,
კოხტად დაბერა ყელისა.
თან მოვდევ გაზაფხულობით
ენძელასა და იასს;
ისე შევხარი მინდორსა,
რომ არ ვიცი, ვის ვარ ასე.
რაწამს გავჩნდები, ბალღები
სიმღერით მეგებებიან;
მათი სიცოცხლე მახარებს,
ისინი ჩემით სტკბებიან.
მაგრამ ეს კია, დღემოკლეს
დიდხანს არ მედგომების;
ხომ არ დავიწყებ ტირილსა,
გუნებაც ასე ინება.
მე მოვკვდე, როგორც შიკრიკი
გაზაფხულისა პირისა,
უარმყოფელი ზამთრისა,
მისგან მოძღვარი ჰირისა.
და სხვამ იხაროს ჩემს შემდეგ,
უფრო ძლიერმა ყვავილმა,
რომ ვერაფერი დააკლოს
ყვავ-ყორნებისა ჩხავილმა.
მან და-ძმებს გადაულოცოს
ზეალმართული ალამი,
ახლა მათ მისცენ გაზაფხულს
გამარჯვებული სალამი...
ყაყაჩო მძვია სახელად,
ველია ჩემი მშობელი,
მე მისი პირმშო შვილი ვარ,
მის გულის შემამკობელი.

1905 წ.

მამალი

იცით ქათმებო, რას გეტყვით,
მეტი რომ არ ვსთქვა თავზედა,
ჩემი გადალი მითხარით
ვინ არის ქვეყანაზედა?.
დავიარები ამაყად
და ვყივი მაღალხმიანი.
შიშის ზარსა ვცემ ყველასა,
ვაჭკაცი დეზებიანი.
ლამაზიცა ვარ, ბიბილო
მიმიბავს ფითელ ლალებსა,
კისერი კოხტად მიმირავს
და ვაბრიალებ თვალებსა.
ყიყლიყოს დასაძახებლად
გულიც კი აუყუნცულდა,
მაგრამ უეცრად პაწია
გოშია გამოცუნცულდა:
დაჰყეფა, შეკრთა მამალი.
როგორც გვრიტი და შოშია,
და შერცხვენილმა რაინდმა
მოკურცხლა საქათმეშია.

1891 წ.



სურათზე: მარცხნიდან — შიო მღვიმელი, შიო არაგვისპირელი და თედო რაზიკაშვილი.

სად როგორ აღნიშნავენ

საინტერესოა ვიცოდეთ

ირანში ახალ წელს 22 მარტს დღესასწაულობენ. ამ დღის დაწყებას აღნიშნავენ ზარბაზნის გასროლით. საახალწლო სუფრაზე აუცილებლად უნდა იყოს შვიდი თავი საჭმელი, რომელთა სახელწოდება ასო „ს“-ით იწყება.

ინდიელთა ტომის ნავახების ახალი წელი ემთხვევა მზის ბუნიობას — 22 დეკემბერს. ახალ წელს ხვდებიან ტყიან ველზე. ინდიელები გამოწყობილი არიან თეთრ ტანსაცმელში, სახესაც თეთრი საღებავებით იღებავენ, თან ცეკვავენ დიდი კოცონის ირგვლივ. თქვსმეტ მამაკაცს დიდი კალათით მოაქვს ღია წითელი ფერის სფერო და საზეიმო მუსიკის ჰანგებში სფერო ნელნელა ააქვთ მაღალ სვეტზე. ისმის შეძახილები: „დაიბადა ახალი მზე, ახალი წელი!“

სამხრეთ აფრიკაში მცხოვრები ხალხი ზუდუ ახალი წლის ზეიმს უკავშირებს მოსავლის დღესასწაულს. ტომის უხუცესი სარიტუალო ცეკვისას მიწაზე აგდებს შემოსულ გოგრას, რომელიც სკდება. სწორედ აქედან იწყება ახალი წელი.

გვიანინს (სამხრეთ ამერიკა) მცხოვრებლები შუაღამისათვის ჭურჭელს წყლით ავსებენ. როგორც კი საათის ისრები შეჩერდება ციფრ „12“-ზე, წყალს მიწაზე ღვრიან. ამით ისინი თვლიან, რომ ძველ წელს ბოლო მოეღო.

ინდონეზიის კუნძულ ბალიზე ათი დღე გრძელდება საახალწლო დღესასწაული.

იაპონიაში ახალ წელს ხვდებიან არა შუაღამისას, არამედ მზის ამოსვლისას. ზეიმი მთელ იანვარს გრძელდება. სახლებს ამკობენ ბამბუკის ღეროებით, ფიჭვისა და აყვავებული ქლიავის რტოებით. კარების თავზე ჰკიდებენ გვიმრით გადახლართულ ჩალის კონებს: ბამბუკი ხანგრძლივი სიცოცხლის სიმბოლოა, გვიმრა კი — წარმატების სიმბოლო.

ნიდერლანდებში ნავსადგურებში მდგომი ყველა გემი საზეიმო საყვირის ხმით აუწყებს ახალი წლის დადგომას. დიასახლისებს კი სადღესასწაულო ვახშამზე მოაქვთ სპეციალური ქიშმიშიანი ფუნთუშები, რასაც წელიწადში მხოლოდ ერთხელ აცხობენ.

საახალწლო დღესასწაულის დროს ინდოეთის ზოგიერთ შტატში მხოლოდ თავაზიანად ლაპარაკობენ. იკრძალება გაჯავრება და ცუდი სიტყვების ხმარება.

რუმინეთში სპეციალურად ახალი წლისათვის აცხობენ სიურპრიზიან ღვეზელს. ღვეზელში დებენ წვრილ ხურდა ფულს, ფაიფურის თოჯინებს, ბეჭდებს, წითელ წიწაკას. ასეთი ღვეზელი ფრთხილად უნდა იჭამოს. ვინმეს მწარე წიწაკა შეხვდება, და ატყდება სიცილ-ხარხარი, დაზარალებულს კი ცრემლები სცვივა. მაგრამ როგორია აღფრთოვანება, როდესაც ვინმეს შეხვდება ბეჭედი ან ფული! მათ, ხალხური რწმენის თანახმად, ახალ წელიწადში კეთილდღეობა მოაქვთ.

იტალიელი გლეხები, ძველი გადმოცემის თანახმად, ცდილობენ ახალი წლის პირველ დღეს არ აჩხუბონ, არ გადაიხადონ ვალები და აუცილებლად შეასრულონ მინდვრის ყველა სამუშაო, რასაკვირველია, ცოტ-ცოტა და სიმბოლურად. ამან უნდა უზრუნველყოს წყნარი ცხოვრება და კარგი მოსავლიანობა.

თოვლის პაპას იტალიაში „ბობი ნაცალეს“ უწოდებენ, რაც „საშობაო პაპას“ ნიშნავს.

თოვლის პაპის ასაკი ათას წელზე მეტი ხნისაა. მისი წინაპარი ძველათ ჩრდილოეთის ცივი ქარის წარმართული ღმერთი იყო. ხალხური თქმულებები გადმოგვცემს, რომ ეს ღმერთი ყოველ ზამთარს ყინულის ციხე-დარბაზში მალავდა მზეს, რომელსაც მხოლოდ გაზაფხულზე ათავისუფლებდა.

მოგვიანებით ხალხურ თქმულებებში გამოჩნდა ყინვა, რომელსაც თავდაპირველად დევგმირი მჭედლის სახე ჰქონდა. შემდეგ კი თოვლის პაპის ცნობილი გარეგნობა მიიღო.



თბილისი, მეტეხის ხიდი „საჩინოს კოშკიდან“.

ქართული ანეკდოტი

ფრთხილად იყავ, მოურავო...

ერთ მოურავს სოფელში უნდოდა წასვლა; მთის სოფელი იყო და გზა არ იცოდა. ხიფათი რომ არა შეჰყროდა რა, ვენახირე გაიყოლია. როდესაც ვიწრო ბილიკთან მივიდნენ, მენახირემ უთხრა:

— ფრთხილად იყავ, მოურავო, აქედან ბევრი სახედარი გადაჩეხილა ხევში.

მეფე და ადიუტანტი

ერთხელ მეფე თავისი ადიუტანტით მიდიოდა. შემოხვდათ მღვდელი, რომელიც მშვენიერს ცხენს მოაჭროლებდა. მიუახლოვდნენ თუ არა, ადიუტანტმა მღვდელს უთხრა: — მამაო, თქვენ იესო ქრისტეს მცნების აღმასრულებელი ბრძანდებით და მის მცნებას უნდა მიხედეთ. იესო ქრისტე ჯორით დადიოდა ხოლმე და თქვენ მაგისთანა კარგი ცხენით რათ დადიხართ?

— რა ვქნათ, — უთხრა მღვდელმა, — რაც ჯორები იყვნენ, სულ მეფეს ხლებიან და მე ამიტომ ვეღარ ვიშოვნე.

კინტო თავს იკლავს

ცხოვრობდა ორი კინტო. ერთხელ კინტოები ძალიან შეჯავრდნენ, დუქნები დაუკეტეს, შემდეგ ჩამოართვეს. ერთმა კინტომ გადაწყვიტა თავის მოკვლა. წავიდა და მატარებლის ლიანდაგზე დაწვა. თან ერთი შოთი პური წაიღო. შემოხვევით მისმა ამხანაგმა გამოიარა და ჰკითხა:

— აქ რას აკეთებ?!

— თავი უნდა მოვიკლა.

— მერე ეგ პური რაღად გინდა?!

— მატარებელი იქნებ საღამომდის არ მოვიდეს და მშიერი ხომ არ მოვკვდები აქ.

პირშავადაც რომ ვიყო...

მეფე გიორგი XIII-ის ერთი კარისკაცი ჰყოლია. თუმცა ხნით მეფეზე უფროსი ყოფილა, მაგრამ წვერ-ულვაშში ერთი ჭაღარაც არა რევია თურმე. ერთხელ მეფეს იმისთვის ებრძანა:

— ერთი მითხარ, რისგან არის, რომ მე ამოდენა ჭაღარა გამომერია, ლამის სულ გავთეთრდე და შენ კი, ჩემზე უფროსს, ეგრე შავად შეგებერდა თმა და წვერ-ულვაში?

— წესიც ეგრეა, ბატონო, — უპასუხა კარისკაცმა. — თქვენ ხელმწიფე ბრძანდებით, პირნათლად უნდა სუფევდეთ. და მე კი თქვენი ყმა ვარ და პირშავადაც რომ ვიყო, არა მიშავს რა.

კინტო და ვირი

ერთმა დედაბერმა ვირით მწვანილი ჩამოიტანა წყნეთიდან. გზაზე კინტო შეხვდა. კინტოს ყალიონი ჰქონდა გაჩაღებული. დედაბერს უთხრა:

— დედი, თუ შეიძლება ამ ვირს რაღაც უნდა დავაბარო.

— შეიძლება, შვილო, — უთხრა დედაბერმა.

მივიდა კინტო, ყურში რაღაცა ჩასჩურჩულა და თან ყალიონიდან ნაკვერჩხლები ჩააყარა. ვირმა ღრიალი მოართო, თან ფეხებს აბაკუნებდა. როცა კინტო წავიდა, ბებერმა თქვა:

— მაგ ცეცხლმოკიდებულმა ასეთი გულის დასაწვავი რა უთხრა ამ ვირს.

თეთრი თხა

ვენახში თეთრი და შავი თხა შეიპარნენ. ვენახის პატრონმა დროზე მოუსწრო მათ და გამოეკიდა. შავი თხა გაექცა, თეთრი კი დაიჭირა და უთხრა:

— შე ოხერო, ის თუ ჯეელია. შენ ბებერი ხარ და რატომ არა გრცხვენია.

მხატვრის ღიმილი



— ხომ გითხარი, ბევრ სტუმარს ნუ მოიყვან-მეთქი.



— ეს არის სამუშაოდან ადრე მოვალო?!.. თუმცა ადრეა, ჯერ ხომ ყველას სძინავს!..



— ვინ თქვა დედაქალაქელებს სოფლელი სტუმარი არ უყვართო!







— ყველას თბილი ტანსაცმელი დაურიგე და მე რაღა დავაშავე, უმერთო?!

— შენ საქართველოში გიშვებ, მზიურ ქვეყანაში!..

ამოდენა ხალხში შევრცხვებოდი

ერთ დედაკაცს პირზე მური წაუსვეს, ვირზე უკუღმა შესვეს და მთელი ქალაქი შემოატარეს.

ერთ ადგილას ვირს უეცრად ფეხები დაუსხლტა და დედაკაცი კინაღამ ვირიდან გადმოვარდა. როცა თავი შეიმაგრა, თქვა:

— რომ გადმოვეგდე, ამოდენა ხალხში ხომ შევრცხვებოდიო.

როგორ გეცინება, რომ ვალს ინაღდებ

ერთმა კაცმა ფული ასესხა მეორეს და თამასუქი ჩამოართვა. გადახდის ვადა რომ გავიდა, იმ კაცთან მივიდა, სახლში ცოლი დაუხვდა. ცოლს ჰკითხა:

— შენი ქმარი სად არის?

— მინდორშია წასული შენი ფულის საშოვნელად.

— მინდორში როგორ იშოვნის?!

— ძეძვის თესლს მოიტანს, გზის ნაპირას დათესავს, როცა ძეძვი ამოვა, აქ გამოვლილ აქლემებს მოედებათ, ბალანს ააცლის, ჩვენ კი იმ ბალანს მოვაქუჩებთ, წინდებს დავქსოვთ, გავყიდით და შენს ვალს მოვიშორებთ.

მოისმინა თუ არა ქალის პასუხი, კაცს გაეცინა.

— როგორ გეცინება, ვალს რომ ინაღდებო, უთხრა ქალმა მევალეს.

ჩაწიწილებული კვერცხები

ორი ამხანაგი სასადილოში შევიდა. ერთმა მეორეს:

— წიწილა რა ღირს?

— ათი შაური, — უპასუხა მოშტანმა.

— ათი კვერცხი რა ღირს?

— ორი შაური.

— მაშ, კვერცხები მოგვიტანე.

მოუტანეს კვერცხები. გატეხეს, ერთმა მეორეს უთხრა:

— ჰოი, როგორი კვერცხები მოგვიტანეს?

ჩუმად ჭამე, არ გაგვიგონ, თორემ თითო წიწილის კერძში ათ შაურს გადაგვახდევინებენო, უთხრა ამხანაგმა.

ღირსი არა ხარ მზეს უყურო

ერთმა მებაღემ მებაღე ბაღში სამუშაოდ გაგზავნა. ცოტა ხნის შემდეგ თვითონაც წავიდა, რომ ენახა მისი მუშაობა. გაიარ-გამოიარა ბაღში და ნახა, რომ მუშას ჩრდილში სძინავს.

— ჰოი, შე ბოროტო! ეგრე მუშაობ, შე უკუღმართო? ღირსი არა ხარ პური ჭამო და მზეს უყურო.

— მე თვითონაც ვგრძნობდი, ბატონო, რომ არ ვიყავი ღირსი მზის ყურებისა და კიდევაც მისთვის ვწევარ ჩრდილში, — მიუგო მუშამ.

სახალხო მხატვარი



საქართველოს ერთ-ერთ ყველაზე პოპულარულ მხატვარს ლადო გუდიაშვილს მრავალი პატივისმცემელი ჰყავს. მის ბრწყინვალე ნიჭს, წერის თვითმყოფ მანერას აღტაცებით იხსენიებდნენ გამოჩენილი ამერიკელი მხატვარი როკუელ კენტი, ინგლისელი მწერლები ჯონ პრისტლი და ჯეიმს ოლდრიჯი, რუმინელი მწერალი ვიქტორ კერნბახი, ესპანელი მწერალი ლუის ლანდინესი და ბევრი სხვა. ამ მხცოვანი მხატვრის ნაწარმოებები ექსპონირებულია ჩვენი ქვეყნის ბევრ გალერიასა და მუზეუმში, პარიზის გალერიებში, მადრიდის მუზეუმში, არის ევროპისა და ამერიკის კერძო საცავებში.

ლადო გუდიაშვილის შემოქმედებაზე უდიდესი გავლენა მოახდინა ქართულმა ლიტერატურამ, არქიტექტურამ, მეტადრე ფრესკულმა ფერწერამ, რომელმაც განსაზღვრა მისი სტილი ხელოვნებაში.

ახალგაზრდობაში, როცა საფრანგეთში იმყოფებოდა, ლადო გუდიაშვილი ეცნობოდა იმ დროის სხვადასხვა მხატვრულ მიმდინარეობებს, შეისწავლა საფრანგეთის კულტურა და ხელოვნება, ხვდებოდა განთქმულ მხატვრებს პიკასოს, ზულუაგს, დერენს. ფრანგმა ხელოვნებათმცოდნემ მორის რეინალმა წიგნი დაწერა ქართველ მხატვარზე.

სამშობლოში ლადო გუდიაშვილმა ბევრი შესანიშნავი ნაწარმოები შექმნა. ადამიანს დიდხანს დაახსომდება მისი ტილოები — „ფრესკის ღიმილი“, „სერაფიტის გასეირნება“, „ეს ჩვენი“, „შეხვედრა მხატვარ ნიკო ფიროსმანთან“, „მოცეკვავე“ და სხვ. მისი სურათები ნატიფია, მდიდარია ფერთა უჩვეულო შეხამებით, მეტყველია და ინდივიდუალური სტილით განირჩევა.

უკანასკნელ წლებში მხატვარმა შექმნა ბევრი შესანიშნავი ტილო ჩვენს თანამედროვეებზე. ასეთებია: „კოლმეურნე ქალი“, „სამი მსახიობი“, „გაზაფხული“.

◆

სურათებზე: ზემოთ — საქართველოს სახალხო მხატვარი ლადო გუდიაშვილი მუშაობის დროს; ქვემოთ მარცხნივ — ლადო გუდიაშვილი მოქანდაკეს, ჰედლობის ცნობილ ოსტატს ირაკლი ოჩიაურს უჩვენებს თავის ახალ ნამუშევარს; მარჯვნივ — ლადო გუდიაშვილი თბილისის სამხატვრო აკადემიის სტუდენტებს შორის.





პიკასოს მიძღვნა

პაბლო პიკასოს დაბადების 85 წლისთავს მიეძღვნა საღამო, რომელიც გაიმართა საქართველოს საზღვარგარეთის ქვეყნებთან მეგობრობისა და კულტურული ურთიერთობის საზოგადოებაში.

საღამო გახსნა სსრ კავშირ-საფრანგეთის საზოგადოების საქართველოს განყოფილების ვიცე-პრეზიდენტმა, საქართველოს მწერალთა კავშირის მდივანმა ბ. ჟღენტმა.

მოხსენება გამოჩენილი მხატვრის, მონუმენტური პანოების შემქმნელის, გრაფიკოსისა და დეკორატორის, მშვიდობის საერთაშორისო პრემიის ლაურეატის პაბლო პიკასოს ცხოვრებისა და შემოქმედების შესახებ გააკეთა ხელოვნებათმცოდნემ ნ. გუდიაშვილმა.

საქართველოს სახალხო მხატვარმა, რუსთაველის სახელობის პრემიის ლაურეატმა ლადო გუდიაშვილმა შეკრებილთ უამბო პარიზში პიკასოსთან შეხვედრების შესახებ, ესაუბრა მის მრავალფეროვან ტალანტსა და შესანიშნავ ნაწარმოებებზე. შეკრებილთ შთაბეჭდილებანი გაუზიარა აგრეთვე სსრ კავშირის სახალხო არტისტმა კინორეჟისორმა მ. ჭიაურელმა.


საღამოზე იყვნენ საფრანგეთის მოსკოვის საელჩოს კულტურის განყოფილების ატაშე ქალბატონი ლიორიში და ფრანგული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი ბატონი ეზერი მეუღლითურთ, რომელიც მოწვეულია თბილისის უნივერსიტეტსა და უცხო ენათა პედაგოგიურ ინსტიტუტში ლექციების წასაკითხავად.

საბჭოთა ხელოვნება

№ 22-23, დეკემბერი, 1966 წ.

ნანა ალექსანდრია—

სსრ კავშირის ჩემპიონი



მთელი თვის მანძილზე საქართველოს სპორტის მოყვარულები მოუთმენლად ელოდნენ ყოველი ტურის შედეგებს ქალთა საშადრაკო ჩემპიონატიდან, რომელიც კიევში მიმდინარეობდა. და აი ჩემპიონატი დამთავრდა. პირველი ადგილი დაიკავა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დასავლეთ ევროპის ენებისა და ლიტერატურის ფაკულტეტის პირველი კურსის სტუდენტმა, 17 წლის ნანა ალექსანდრიამ.

არა, ეს შემთხვევითი არ იყო და არც მოულოდნელი მათთვის, ვინც კარგად იცნობს ნანას, ამ მეტად ინტელიგენტ, გასაოცრად კეთილ გოგონას, დაჯილდოებულს იშვიათი საშადრაკო ნიჭით.

ჰადრაკის თამაში პატარა ნანას მამამისმა თბილისის უნივერსიტეტის უმაღლესი მათემატიკის კათედრის დოცენტმა გიორგი ალექსანდრიამ ასწავლა. ნანამ მალე თბილისის პიონერთა სასახლეში დაიწყო მეცადინეობა შესანიშნავ პედაგოგ ვახტანგ ქარსელაძესთან, რომელიც მსოფლიოს ჩემპიონის ნონა გაფრინდაშვილის მწვრთნელიც იყო და რომელმაც დიდი ამაგი დასდო საქართველოში ჰადრაკის განვითარების საქმეს (მისმა დიდი ხნის მეგობარმა ბაბთიანმა გოგონამ მაშინ საყოველთაო სიმპათია დაიმსახურა და მას დიდ მომავალს უწინასწარმეტყველებდნენ. წელს იმავე კიევში გამართულ ნახევარფინალში ორი ტურით ადრე გაანაღდა პირველი ადგილი. მართლაც ბედნიერი ქალაქი აღმოჩნდა მისთვის კიევი.

პიონერთა სასახლიდან იწყება ნანას სვლა მწვერვალისაკენ. 11 წლისამ თბილისის პირველობაში მე-7 ადგილი დაიკავა, ერთი წლის შემდეგ ქალაქის ჩემპიონი გახდა, 14 წლის ასაკში საქართველოს პირველობაზე პირველი-მეორე ადგილი გაიყო, ერთი წლის შემდეგ კი ერთპიროვნულად მოიპოვა ეს ტიტული. ორი წლის წინათ ნანამ პირველად მიიღო მონაწილეობა საკავშირო ჩემპიონატში და მე-7 ადგილი დაიკავა. ეს უკვე დიდი მიღწევა იყო. მოსწავლის ფორმით გამოწყობილმა ბაბთიანმა გოგონამ მაშინ საყოველთაო სიმპათია დაიმსახურა და მას დიდ მომავალს უწინასწარმეტყველებდნენ. წელს იმავე კიევში გამართულ ნახევარფინალში ორი ტურით ადრე გაანაღდა პირველი ადგილი. მართლაც ბედნიერი ქალაქი აღმოჩნდა მისთვის კიევი.

ჩემპიონატის პირველ ორ ტურში ნანამ ორივე პარტია წააგო, წააგო ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენლებთან ჩაიკოვსკაიასთან და ე. კაკაბაძესთან. ეს წარუმატებლობა ვისაც გინდა დააბნევდა. მაგრამ ამის შემდეგ ნანამ ზედიზედ 6 პარტია მოიგო. მეტად დაძაბული იყო უკანასკნელი ტური. მხოლოდ გამარჯვებას შეეძლო მისთვის ჩემპიონის წოდების მოტანა, და ნანამაც ბრწყინვალედ ჩაატარა ეს შეხვედრა. ესტონელ მ. რანიკუსთან ფრანგული პარტიის ვარიანტში 31-ე სვლაზე გაიმარჯვა.

13 გამარჯვება, ორი ყაიმი, ოთხი დამარცხება — ასეთია 17 წლის ჩემპიონის საბრძოლო გზა ოქროს მედლისაკენ.

ბრწყინვალე წარმატებაა, და კიდევ უფრო მნიშვნელოვანი იმიტომ, რომ მომავალ წელს პრეტენდენტთა ტურნირში მონაწილეობის უფლებას იძლევა.

ჩვენს მკითხველებს ადრეც ჰქონდათ გაგონილი ნანა ალექსანდრიას სახელი, ჩვენ არაერთხელ დაგვიწერია მასზე. ვინ იცის, იქნებ მსოფლიოს პირველობის მომავალ მატჩში ორი ქართველი ქალიშვილი შეხვდეს ერთმანეთს, ნონა და ნანა, მსოფლიოს ჩემპიონი ნონა გაფრინდაშვილი და სსრ კავშირის ჩემპიონი ნანა ალექსანდრია, ყოველ შემთხვევაში ასეთი იყო მათი მასწავლებლის ვახტანგ ქარსელაძის ოცნება.

კიევიდან დაბრუნებულ ნანას გულთბილი შეხვედრა მოუწყეს თბილისში, მრავალი თაიგული მიართვეს მას დედაქალაქის ვაგზალში. ჩვენს კორესპონდენტთან საუბარში 17 წლის ჩემპიონმა თქვა:

— უპირველეს ყოვლისა მინდა დიდი მადლობა გადავუხადო ჩემს გულშემატკივრებს, ყველას, ვინც მამხნევებდა და მომილოცა. რა თქმა უნდა, ბედნიერი ვარ, რომ პრეტენდენტთა ტურნირში მონაწილეობის უფლებასთან ერთად ჩემპიონის ოქროს მედალიც მოვიპოვე. სიხარულს უამს არ შემიძლია უღრმესი პატივისცემით და მადლობის გრძნობით არ მოვიგონო ვახტანგ ქარსელაძე, რომელიც წლების მანძილზე მამზადებდა ამ წარმატებისათვის. მადლობა ჩემს მწვრთნელს ბუხუტი გურგენიძეს, რომელიც ენერგიასა და ცოდნას არ იშურებდა.

გაისად ორ ტურნირში უნდა მივიღო მონაწილეობა. ერთია მოჭადრაკე გოგონათა მსოფლიოს პირველობა და მეორე — პრეტენდენტთა ტურნირი. ახლა კი — დასვენება და ზამთრის სესიების ჩაბარება.

ინტერესს მოკლებული არ იქნება, თუ ვიტყვით, რომ ნანას ოქროს მედალი პირველი როდი იყო მის ცხოვრებაში, უფრო ადრე მან ოქროს მედალი საშუალო სკოლის დამთავრებისას მიიღო. სკოლაში იგი ერთ-ერთი საუკეთესო მათემატიკოსი იყო და ყველაზე კარგად ფლობდა ინგლისურ ენას, რომლის ცოდნას იგი ახლა უნივერსიტეტში აღრმავებს.

აი რა თქვა ნანას მწვრთნელმა ბუხუტი გურგენიძემ:



ჩემპიონების აკვანი.

იავ-ნონა — ვარდო-ნანა.



— ნანა უაღრესად ნიჭიერი მოჭადრაკეა. იგი მებრძოლი კომბინაციური სტილით თამაშობს და განსაკუთრებით ძლიერია ღია პოზიციებში. ტ. ზატულ ოვსკაიას მწვრთნელი, სპორტის დამსახურებული ოსტატი ვ. მაკაგონოვი გაოცებული ადევნებდა თვალს ნანას კომბინაციურ იერიშს იდელჩიკთან პარტიაში და თქვა, არა, ქალის ასეთი ვაუკაცური თამაში ჯერ არ მინახავსო.

შესანიშნავი მეხსიერება, მტკიცე ხასიათი, ტაქტიკური და კომბინაციური ალღო, ბრძოლის წყურვილი — აი ალექსანდრიას როგორც მოჭადრაკის დამახასიათებელი ნიშნები.

ძალიან შეუყვარდათ ნანა ალექსანდრია კიეველებს. როდესაც მან ბოლო პარტია მოიგო, მსაჯები იძულებული იყვნენ სხვა მაგიდებზე საათები გაეჩერებინათ: ოვაციებს ბოლო არ უჩანდა, ყვავილები მოჰქონდათ სრულიად უცნობ ადამიანებს. ის კი, 17 წლის ქართველი ქალიშვილი, იდგა დაბნეული, გაწითლებული და აღელვებული. გარს ეხვეოდნენ ფოტოკორესპონდენტები და ჟურნალისტები. მონაწილეთა ოთახში მაშინ მან პირველი ინტერვიუ მისცა ჟურნალისტებს.

ვინ იცის, ორიოდე წლის შემდეგ, როცა მსოფლიოს ჩემპიონი ნონა გაფრინდაშვილი კვლავ მიუჯდება საშადრაკო მაგიდას თავისი ტიტულის დასაცავად, მის მოპირდაპირე მხარეს აღმოჩნდეს მსოფლიოს გვირგვინის მაძიებლად მეორე ქართველი ქალიშვილი ნანა ალექსანდრია. ამის იმედი გვაქვს. ვინ გაიმარჯვებს? ეს ძალამ განსაჯოს.


ქართული ჰადრაკი კი კიდევ ერთ დიდ ნაბიჯს გადადგამს წინ თავის განვითარების გზაზე.

ო. ლორთქიფანიძე.

* * *

სურათზე: 1966 წლის ჩემპიონი ჰადრაკში 17 წლის ნანა ალექსანდრია.

ფ. 20/6.



დედის მოლოდინი ფოტო დავით იაკობაშვილისა.

სტუმრად მეგობრებთან

ქართველი მეცნიერი პოლონეთისა და ბულგარეთის მეცნიერებათა აკადემიებში

◆

პოლონეთსა და ბულგარეთში სამეცნიერო მოგზაურობიდან დაბრუნდა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ვახუშტის სახელობის გეოგრაფიის ინსტიტუტის დირექტორი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი თ. შ. დავითაია.

პოლონეთის სახალხო რესპუბლიკაში თ. დავითაია ეწვია მეცნიერებათა ეროვნული აკადემიისა და ვარშავის უნივერსიტეტის გეოგრაფიის ინსტიტუტებს, აგრეთვე ჰიდროლოგიისა და მეტეოროლოგიის ინსტიტუტებს. ეს დაწესებულებანი ასრულებენ სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტისა და პოლონეთის ოპერატიული სამსახურის ფუნქციებს ჰიდრომეტეოროლოგიის დარგში. პოლონეთის მეცნიერებათა აკადემიის გეოგრაფიის ინსტიტუტი ამგვარი პროფილის ერთ-ერთი უდიდესი სამეცნიერო ცენტრია მსოფლიოში. მისი თანამშრომლები მუშაობენ გეოგრაფიული მეცნიერების თითქმის ყველა რთულ დარგში, გარდა ბიოგეოგრაფიისა.

პოლონელი გეოგრაფები მეცნიერული პრობლემების დამუშავებაში ძირითადად მეცნიერული კვლევის იმ მეთოდებს მიმართავენ, რომლებსაც სსრ კავშირში იყენებენ.

ვარშავაში თ. დავითაიამ ორი მოხსენება გააკეთა. ერთ-ერთი მათგანი მიეძღვნა თანამედროვე დათბობისა და მყინვარების დეგრადაციის პრობლემებს, მეორე — სითბოს რაოდენობისა და ბუნების სეზონური განვითარების პროგნოზის მეთოდებს. ორივე ეს თემა საქართველოში დამუშავდა. თ. დავითაიას გამოსვლაში, კერძოდ, ნათქვამი იყო, რომ საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ვახუშტის სახელობის გეოგრაფიის ინსტიტუტის მიერ შემუშავებული მეთოდიკით 1966 წლის დამდეგს მოხერხდა რესპუბლიკაში ჩაის მოსავლის პროგნოზი. ცნობილია, რომ წელს საქართველოში მოწეულია ჩაის უმაღლესი მოსავალი — 326 ათასი ტონა ფოთლისა!

ბულგარეთში ქართველმა მეცნიერმა მონაწილეობა მიიღო სოციალისტური ქვეყნების წარმომადგენელ ჰიდრომეტეოროლოგთა თათბირის მუშაობაში, რომელიც 6 დეკემბერს გაიხსნა სოფიაში. თ. დავითაიამ გააკეთა ორი მოხსენება. თათბირზე განიხილებოდა საკითხები, რომლებიც ეხება სოციალისტური ქვეყნების კლიმატური რესურსების შესწავლისა და მათი აგროკლიმატური დარაიონების რუკის შედგენის სამუშაოთა მონაწილე ქვეყნებს. ასეთი დარაიონება საჭიროა სოფლის მეურნეობის სხვადასხვა დარგის სწორი დაგეგმვისა და განლაგებისათვის და ამ დარგების სპეციალიზაციისათვის დიდი რაიონების მიხედვით სოციალისტური ქვეყნების ბუნებრივი პირობებისა და კლიმატის შესაბამისად.

ენგურის ახალი ბიოგრაფია

მნგურზე მოგზაურობას ვიწყებთ სვანეთის მაღალი მთებიდან. აქ არის ამ ბობოქარი მდინარის სათავე. ტყით დაფარულ ცად აწვდილ მთებს შორის გაუკვალავს მას გზა.

პირველი შეჩერება მოვაწყეთ სათავიდან ას კილომეტრზე, სოფელ დიზთან. ენგურს აქ გაურღვევია მარმარილოს კლდე და მარმარილოს კალაპოტში მიედინება. ქაფიანი ტალღები ქათქათა მარმარილოს ნაპირებს ეხეთქება. აქ წარმოებს ცნობილი დიზის მარმარილოს მოპოვება. ამ მარმარილოთი ამშვენებენ საცხოვრებელ და საზოგადოებრივ შენობებს ჩვენი ქვეყნის ბევრ ქალაქში. მას ვერაფერს აკლებს ვერც დრო, ვერც ამინდი.

ქვემოთ — 2.500 მეტრ სიმაღლეზე ზღვის დონიდან იწყება სახელგანთქმული ქართული ქაღალდის დაბადება. აქ მთელი წლის განმავლობაში ამზადებენ ნედლეულს ენგურის ცელულოზა-ქაღალდის კომბინატისათვის. მოჭრილი ხეები ტრაქტორებით გამოაქვთ საავტომობილო გზამდე. შემდეგ ხე-ტყის საზიდი ავტომანქანებით მერქანს ენგურში ყრიან, რომელსაც იგი ჩააქვს ჯვარში.

უძველესი დროიდან დაუმორჩილებელს ეძახდნენ მდინარე ენგურს — ამ მთის მზეთუნახავს. საუკუნეთა განმავლობაში უნაყოფოდ მიედინებოდა მისი წყალი. მაგრამ აი ადამიანებმა დაიმორჩილეს იგი და თავის სამსახურში ჩააყენეს.

და დაიწყო დამორჩილებული მდინარის ახალი ბიოგრაფია.

აფეთქებათა ქუხილმა, მოტორების გუგუნმა ჩაახშო მდინარის ხმაური. დიდ ტერიტორიაზე გადაშლილა სამშენებლო მოედანი — აქ აგებენ ამიერკავკასიაში უდიდეს ჰიდროელექტროსადგურს. ეს არის 270-მეტრი სიმაღლის უნიკალური თაღოვანი კაშხალი. მისი დიდ დიამეტრიანი გვირაბების სიგრძე 24 კილომეტრს აღწევს. უჩვეულოა თვით ჰიდროელექტროსადგურის შენობა, რომელიც მიწის ქვეშ 130 მეტრ სიღრმეზე იქნება. ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობასთან ერთად გაჰყავთ საავტომობილო გზები, შენდება თანამედროვე ტიპის საცხოვრებელი დაბები.

სულ უფრო ფართოდ ჩაღდება მუშაობა ენგურის ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობაზე. მარტო 1965 წელს 20 მილიონი მანეთის სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოები შესრულდა. შარშან ეს ციფრი 34 მილიონ მანეთამდე გაიზარდა, წელს კი 40 მილიონს მიაღწევს.

ამ სამუშაოთა დამთავრების შემდეგ რამდენიმე ათეული მეტრით აიწევს წყლის დონე მდინარეში. ამიტომ ენგური, როგორც სამდინარო რეიდი, დაკარგავს თავის მნიშვნელობას. არსებული საავტომობილო გზის 80 პროცენტზე მეტი წყლის ქვეშ აღმოჩნდება. ამან შეიძლება დანარჩენ სამყაროს მოწყვიტოს სვანეთი.

მაგრამ სწორედ აქედან იწყება ამ მშვენიერი მხარის აყვავება. ზემო სვანეთამდე ახალი, უფრო ფართო საავტომობილო გზის გაყვანა შესაძლებლობას მოგვცემს კიდევ უფრო ფართოდ გამოვიყენოთ სვანეთის ბუნებრივი სიმდიდრეები, შევქმნათ ახალი მსხვილი ეკონომიური რაიონი. სვანეთი გახდება დასვენებისა და მურნალობის თვალწარმტაცი ადგილი. აქ აშენდება ახალი ჯანმრთელობის კერები, ტურისტული ბანაკები, სპორტული ბაზები.

დამშვიდდება ბობოქარი ენგური და მისი ტალღები ჩხრიალით უმღერებენ მაღალ მთებში მცხოვრებ სვანების ბედნიერ ცხოვრებას.

ა. ჩართოლანი.

ᲙᲝᲜᲪᲔᲠᲢᲘ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ

მოისმინეთ რადიოგადაცემები ქართულ ენაზე ყოველი თვის მეორე და მეოთხე სამშაბათს 7 საათიდან 7 საათსა და 30 წუთამდე შუა ევროპის დროით: საშუალო ტალღაზე 227 მეტრი ან 1322 კილოგერცი, მოკლე ტალღაზე — 30,83 მეტრი ან 9730 კილოგერცი.

გადაცემები ქართულ და აფხაზურ ენებზე შუა და ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებისათვის ყოველ კვირა დღეს 17 საათსა და 45 წუთიდან 18 საათსა და 15 წუთამდე, თბილისის დროით მოკლე ტალღაზე — 50.59 მეტრი ან 5930 კილოგერცი.

საredაქციო კოლეგია

ᲕᲘᲡ ᲕᲔᲠ ᲐᲙᲘᲗᲮᲐᲕᲡ:

თბილისი, გ. ათონელის ქ. № 25.